


რეკონსტრუქცია

№6 (69) 1.06.2015 - 1.07.2015

ფასი: 2 ლარი

უმცლესი ბაზრის

გვ. 2



**თაბაზა
გამყარდება**

გეგმვის, პროექტის
მუშაობის
შედეგად გრძელდება

გვ. 16



**მინდობის სანდო
და სოხის მონასტრის
თავისებურებანი**

გვ. 30



ნიმე გარბაქაძე

*Rustavi
Fashion
Studio*

გვ. 14



გინა გინსუკაძე

ეს ერთად ყოფნა
რა ლაგონა

გვ. 25



**აბრამინა
ჯაფარიძის**

დაგეგმვის მონაწილე

გვ. 38



**ასეთი იყო
ურავი...**

გვ. 20



„დიდებმა გრძელდნ“

რეკონსტრუქცია



მა პატარა ძანტოველი ვანტ!



სარჩევი

	საუკუნო ღვანლი — დიდი მეცნიერი, რომელიც მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს..... 2
	მოდოდა, ნინო მთებით მოდოდა..... 6
	1 ივნისი — გივი ჭიჭინაძე..... 7
	გარდაცვლილი ხე — გივი სიხარულიძე 8
	თრობის სურნელი — გივი სიხარულიძე 9
	გიორგი ჯაფარიძის შემოქმედებითი გზა 10
	მრავალჟამიერ შალომ ლეხაიმ ... 12
	მზია მაისურაძე — ეს ერთად ყოფნა რა ლამაზია 14
	მინდაციხის სასწაული და სორის მონასტრის თავისებურებანი 16
	ის დაიბადა თიბათვის მინურულს 19

	„დიდება ბრძანე“ ლებში 20
	ჩემი ოჯახის მატრიანე..... 22
	იმ დღეთა მემატრიანე..... 24
	აგრაფინა ჯაფარიძის ლამაზი და დრამატული ცხოვრება..... 25
	ამბროლაური სრულიად საქართველოს ამცნობს 28
	Rustavi Fashion Studio 30
	„იას უთხარით ტურფასა“..... 32
	დაბრუნებული საუნჯე 34
	გავაშელების გვარის წარმოშობა..... 36
	სოფელ ლებში გავრცელებული გვარების ვისიანობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ... 36
	ახალი თეატრი და აღფრთოვა- ნებული მაყურებელი..... 37
	ასეთი იყო ურავი..... 38

მთავარი რედაქტორი —
ნინო ჩხვიიაშვილი
ტელ: 599 74 68 10
დამფუძნებელი —
გოჩა გუტაშვილი
ტელ: 599 53 58 94
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარაშვილი
ტიქსტი აანყო
თამარ გოგინაძე
მისამართი: თბილისი, ლესელიძის
ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი „რაჭველები“ ემიგრანტ
რაჭველებს და არა მარტო მათ,
გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს _
გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,
რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს
მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.
ტელ: 599 74-68-10

მეირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

საუბუბუნი ღვანედი

**დიდი
მეცნიერი,
რომელმაც
მუდამ
სსრკ-ის
შუაგულში
ტრიალებს**



**თამაზ
გამყრელიძე**

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტს თამაზ გამყრელიძეს 86 წელი შეუსრულდა.

თამაზ გამყრელიძე დაიბადა 1929 წლის 23 ოქტომბერს ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1947 წ.) იგი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი.

მან ყმანვილკაცობიდან ყურადღება მიიქცია როგორც სხვადასხვა ტიპის ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების ნიჭიერმა მკვლევარმა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1952წ.) თ. გამყრელიძემ აკადემიკოს გ. წერეთლის ხელმძღვანელობით სემიტოლოგიური სკოლა გაიარა და დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში,

ხოლო შემდეგ გაიგზავნა ლენინგრადში, სადაც პროფ. ი. დიაკონოვის ხელმძღვანელობით დასპეციალდა აღმოსავლეთის ძველ ენებში (აქადური, ურარტული, ხეთური). ასპირანტურის კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ მან ფართო ზოგადლინგვისტური და სააღმოსავლეთმცოდნეო მომზადება მიიღო.

სხვადასხვა სისტემათა ენების (სემიტურის, ინდოევროპულის, ქართველურის, წინა აზიის ძველი ენების და ა.შ.) განსაკუთრებით კარგმა ცოდნამ, აგრეთვე ფართო ზოგადთეორიულმა მომზადებამ საშუალება მისცა, მას 1956 წელს დაეცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხეთური ენის და არაინდოევროპული ელემენტები“.

1962 წელს თამაზ გამყრელიძე იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია. დისერტაციაში შემოთავაზებული იყო ინდოევროპული ლარინგალური ორიგინალური სისტემა და

გამოკვლევულ იქნა ლარინგალურ ფონემათა დიაქრონული ტრანსფორმაციები, რომლებმაც განსაკუთრებული რეფლექსები მოგვცა ისტორიულ ინდოევროპულ ენებში.


ამ მნიშვნელოვან გამოკვლევაში ავტორი უკვე წარმოგვიდგა როგორც მეცნიერი, რომელიც მზადაა, გადანიშნოს ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის ცენტრალური საკითხები. თ. გამყრელიძე მიჩნეულ იქნა ხეთოლოგიის ერთ-ერთ დამფუძნებლად საბჭოთა კავშირში.

არაჩვეულებრივად ფართოა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მეცნიერული ინტერესები. იგი მრავალი ნაშრომის ავტორია ინდოევროპული ენათმეცნიერების, სემიტოლოგიის, წინა აზიის ძველი ენების დარგში.

ზოგადლინგვისტური პრობლემებით დაინტერესებულმა თამაზ გამყრელიძემ ლინგვისტური ტიპოლოგიისა და არეალური ლინგვისტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები ჩაატარა. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერის ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სხვადასხვა სისტემის ენათა ანალიზს, კერძოდ, სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) ენების სტრუქტურისა და ისტორიის გამოკვლევებს. ამ დარგში შესრულებულ უკვე პირველსავე სამუშაოში მის მიერ ახლებურად იყო დასმული ქართველური ენათმეცნიერების მთელი რიგი ტრადიციული საკითხები.

თამაზ გამყრელიძის მიერ ისტორიულ ქართველურ ენებში სიბილანტური რიგის ზოგადენობრივი ფონომების ასახვის დადგენილი კანონზომიერება სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია როგორც „გამყრელიძის კანონი“. წამყვანი სპეციალისტების აზრით, ამ კანონს მნიშვნელობა აქვს არა მარტო ცალკეული ქართველური ენების ისტორიისათვის, არამედ იგი ზოგადლინგვისტურ და ზოგადმეთოდოლოგიურ მნიშვნელობას იძენს.

ქართველური ენათმეცნიერების განვითარების ახალ ეტაპად მოგვევლინა თამაზ გამყრელიძის მიერ (გივი მაჭავარიანის თანაავტორობით) შექმნილი მონოგრაფია „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. ამ გამოკვლევაში, რომელმაც თავისი მეთოდოლოგიური აღჭურვილობის მიხედვით კომპარატივისტიკის დარგის თანამედროვე დონეზე დააყენა ქართველოლოგია, არსებითად შემუშავებულ იქნა ქართველური ენების შედარებითი გრამატიკის პრინციპულად ახალი კონცეფცია, ახალი „პარადიგმა“. იგი ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა არა მარტო ქართველოლოგიაში, არამედ საერთოდ თანამედროვე დიაქრონულ ლინგვისტიკაში, მონოგრაფია საზღვარგარეთაც გამოიცა გერმანულად.



აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ფუნდამენტურმა ორტომეულმა გამოკვლევამ „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. ფუძენისა და პროტო-კულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი“, რომელიც შეიქმნა გამოჩენილ მეცნიერთან, აკადემიკოს ვიანესლავ ივანოვთან თანაავტორობით. 1988 წელს მონოგრაფიის ავტორებს ლენინური პრემია მიენიჭათ მეცნიერების დარგში.

ავტორთა ეს ფუნდამენტური გამოკვლევა არსებითად „ახალ პარადიგმას“ წარმოადგენს შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში, რომელიც აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ განსაზღვრა როგორც „ტიპოლოგიური შედარებით-ისტორიული ლინგვისტიკა“ და რომლის იდეა თავდაპირველად შემოთავაზებული იყო თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის რომან იაკობსონის მიერ.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე განსაკუთრებით მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტით საგებლობს. მეცნიერი არჩეულია „ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“ უცხოელ წევრად, „ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის“ საპატიო წევრად. „ბრიტანეთის აკადემიის“, „ავსტრიის მეც-



ნიერებათა აკადემიის“ უცხოელ წევრად, „საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის“, „უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის“ საპატიო წევრად, „ევროპული აკადემიის“ წევრად და სხვა.

ქართველი მეცნიერი არჩეულია „ამერიკული ლინგვისტური საზოგადოების“ საპატიო წევრად და „ევროპული ლინგვისტური საზოგადოების“ წევრად (რომლის პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად არჩეული იყო სხვადასხვა წლებში), „ინდოევროპული საზოგადოების“ საპატიო წევრად (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), არის ჰუმბოლტის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სხვა. იგი ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორია.

თამაზ გამყრელიძე საერთაშორისო ლინგვისტური კონგრესებისა და ენათმეცნიერთა სხვა მნიშვნელოვანი ფორუმების უცვლელი მონაწილეა, ხშირად გამოდის მოხსენებით და კითხულობს ლექციებს ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში.

აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ თავისი სამეცნიერო-საორგანიზაციო მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიწყო, სადაც ხელმძღვანელობდა ძველადმოსავლური ენების განყოფილებას, ხოლო 1960 წლიდან, აკადემიის სისტემაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ, მას ირჩვევენ ამ ინსტიტუტის წინა აზიის ენათა განყოფილების გამგედ. თ. გამყრელიძე პარალელურად

ინყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იგი არჩეულ იქნა კიბერნეტიკის ფაკულტეტზე ახლად ჩამოყალიბებული სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის გამგედ. 1964 წელს მას მიენიჭა პროფესორის ნოდება.

1973-2005 წწ. თამაზ გამყრელიძე ხელმძღვანელობდა აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს, არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. 2005-2013 წლებში აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი. 2013 წლის ივლისიდან აკადემიის საპატიო პრეზიდენტი. იგი ამჟამად აგრძელებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული აკად. გ. წერეთლის სახ. „რუსთაველის კომიტეტის“ ხელმძღვანელობას, სადაც მიმდინარეობს მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენაზე, „ქართული ენის თესაურუსის“, აგრეთვე „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ შედგენაზე.

აკად. თამაზ გამყრელიძე 1984 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. 1981-1991წწ. იგი იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებასთან არსებული ფონეტიკისა და ფონოლოგიის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, ხოლო 1988-1995წწ. — საკავშირო (შემდგომ რუსეთის) აკადემიური სამეცნიერო ჟურნალის „ენათმეცნიერების საკითხების“ მთავარი რედაქტორი.

აკადემიკოსი თ. გამყრელიძე 1985 წელს აირჩიეს საკავშირო უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის დეპუტატად. მეცნიერი იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს და საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მოწვევის წევრი (1990-92 და 1992-2003 წ.). სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტს. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს და მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების საკოორდინაციო საბჭოს.

თ. გამყრელიძე დელეგატი და აქტიური მონაწილე იყო საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობისა, რომელიც მოსკოვში (1989წ. 25 მაისი – 9 ივნისი) ჩატარდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ყრილობაზე მისი ისტორიული გამოსვლა, რომელიც დაკავშირებული იყო თბილისში 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებულ ტრაგედიასთან. თავის მამხილებელ სიტყვაში თ. გამყრელიძემ მკაცრად გააკრიტიკა მაშინდელი საბჭოთა კავშირის უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა.

XXI საუკუნის დასაწყისში საკითხები, რომლებიც რესურსების და სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნებასთან, აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის სისტემის რეფორმირებასთან და მეცნიერების შემდგომ განვითარებასთან იყო დაკავშირებული, ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი გახდა. რთულ სიტუაციაში, რომელიც 2005 წლის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა და აკადემიის პრეზიდიუმმა, პირველ რიგში, მთელი ყურადღება გაამახვილეს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის რეფორმებისა და მისი სტრუქტურის ოპტიმიზაციის საკითხებზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძის მიერ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „მეცნიერებათა აკადემია უნდა იყოს, არა „მეცნიერებათა ასოციაცია“ სამეცნიერო ინსტიტუტებისა და ცენტრების გარეშე, არამედ საბაზისო დაფინანსებაზე დაფუძნებული ფუნდამენტურ სამეცნიერო გამოკვლევათა ერთიანი ეროვნული ცენტრი, დამოუკიდებელი, ავტონომიური სამეცნიერო ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების ერთობლიობა, მეცნიერების დარგში უმაღლესი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის პატრონაჟის ქვეშ იქნება“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 2007 წლის დეკემბერში მიღებული კანონი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ, რომლის შესაბამისად მას „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ ეწოდა. კანონით დადგინდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტატუსი, ამოცანები და მოღვაწეობის წესი. აკად. თამაზ გამყრელიძის პრეზიდენტობის დროს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საპატიო აკადემიკოსად არჩეული იყო მისი უწმინდესობა სრულიად საქართველო კათოლიკოს პატრიარქი ილია II, აგრეთვე მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე მჭიდროდ არის

დაკავშირებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობასთან დღიდან მის მიერ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრებისა აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით. ამჟამად იგი არის მრჩეველთა საბჭოს წევრი და ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის „თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტს“, მიჰყავს კურსი „თეორიულ ენათმეცნიერებაში“. აღსანიშნავია ის, რომ სწორედ თამაზ გამყრელიძის დიდი ძალისხმევით შედეგად ჩვენს პირველ ქართულ უნივერსიტეტს დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელი ეწოდა და ამ ბოლო წლებში, როდესაც ჩვენს უნივერსიტეტს რეორგანიზაციის საბაბით ფაქტიურად სრული ნგრევა ემუქრებოდა, მან გამოაქვეყნა იმ დროისათვის მეტად გახმაურებული წერილი „ივანე ჯავახიშვილის მესამე სიკვდილი“, რომელშიც გამოაშკარავებული იყო ამგვარი „რეორგანიზაციის“ უარყოფითი მხარეები.


აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ცხოვრება და მოღვაწეობა მეცნიერებისადმი ერთგულების ნათელი მაგალითია. მთელ მის სამეცნიერო, სამეცნიერო-ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მუდმივად თან ახლავს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

თამაზ გამყრელიძე არის დიდი კულტურის, ფართო ერუდიციის ადამიანი, დახვეწილი გემოვნებით, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ნატიფი შემფასებელი, კლასიკური მუსიკის დიდი მოყვარული, თვითონ შესანიშნავად უკრავს ფორტეპიანოზე, აქტიურად ფლობს მრავალ ენას — დასავლურს და აღმოსავლურს.

86 წლის აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე აქტიურ ცხოვრებას ეწევა, ბევრ დროს უთმობს სპორტს — ცურავს, თამაშობს ჩოგბურთს.

ვუსურვოთ იუბილარს მრავალჟამიერი სიცოცხლე, მტკიცე ჯანმრთელობა, ოჯახური კეთილდღეობა და ახალი დიდი მიღწევები ჩვენი მეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**



თამაზ გამყრელიძემ ახლახანს გამოსცა დიდტანიანი წიგნი „ჩვენი წერილები და გამოსვლები“, რომელიც მშობლების ხსოვნას მიუძღვნა.



წმინდა ნინოს სახელობის ფოკას მამათა მონასტერი

მედიტა, წმინდა მთავარი მედიტა

მოციქულთასწორთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წმ. ნინოა. 12 წლის ასაკში მასზე უდიდესი ღვთის მადლი გადმოვიდა, დედაღვთისმშობელმა მას თავისი წილხვდომილი ქვეყნის განმანათლებლობა დააკისრა. საოცარია ღვთის მადლი და ნამდვილად, „საკვირველ არიან საქმენი“ მისნი, საკვირველია დედაღვთისმშობლის ნებასურვილიც, მსგავსად ძისა თვისისა... მან არათუ გამოცდილ და ზრდასრულ ადამიანს დაავალა საკუთარი წილხვდომილი ქვეყნის განმანათლებლობა, არამედ პატარა, სუსტ გოგოს, რომლის სულიერი მზაობა აღემატა მისი ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარს... მართლაც, რომ ძალი ღვთისა მის უძღურებაში სრულ იქმნა...



დღევანდელი დღე განსაკუთრებული უცხოობაში მყოფ ქართველთათვის, წმ. ნინოს ხსენებით, თითქოს თვალწინ გვიდგება ჩვენი, მრავალტანჯული ერის ისტორია... შევნატრით მის წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც ...

რა შეგვიძლია ჩვენ დღეს მივაგოთ საქართველოს, იმ სიყვარულისა და სიკეთის წილ, რაც მან მოგვაგო ჩვენ...?! როგორ მივუზღათ სიკეთე მას?!... როგორც მშობლების ვალს ვერასდროს გადაიხდის შვილი, რაც უნდა სიკეთე უკეთოს მან თავის მშობლებს მთელი ცხოვრება, ისე ჩვენც

ვერ მივაგებთ იმდენ სიკეთესა და სიყვარულს ჩვენს სამშობლოს, რაც მან მოგვაგო ჩვენ... ეს არის უპირველეს ყოვლისა ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტიანობა... აბა, წარმოვიდგინოთ, ჩვენ რომ სხვა ქვეყანაში დავბადებულყავით, ყველანი ვიქნებოდით მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებელნი... ყველანი ვინამებდით ჯვარცმულ იესუს ღმერთად. გმადლობთ შენ, დაუცხრომელად, უფალო ღმერთო ჩვენო მოწყალებათათვის მხოლოდშობილისა ძისა შენისათა... გმადლობთ შენ, დედაო ღვთისავ, შენი წილხვდომილი ერის შვილები რომ ვართ! და გმადლობთ შენ, წმინდაო მოციქულთასწორო და ღირსო დედაო ჩვენო ნინო, რომელმან ქრისტეს ნათელით განანათლე სრულიად საქართველო!!!

წმ. ნინოს ლოცვით ღმერთმა დალოცოს, გაახაროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!!! გილოცავთ ნინობას!!!

წმ. ნინოს ლოცვით ღმერთმა დალოცოს, გაახაროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!!! გილოცავთ ნინობას!!!


წმ. ნინოს ლოცვით ღმერთმა დალოცოს, გაახაროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!!! გილოცავთ ნინობას!!!



გიორგი ჭიჭინაძე

იის ნატურა

- რას ინატრებ, იავ, რასა?
- წვიმის ხმასა წკრიალასა.
მუდამ ასე ვამშვენებდე
საქართველოს იაღალსა.




მარდი ბიჭი

გასწორებულ ლოგინსე
სკუპ, ფუმფულა ბალიშო!
ღონდლო ბიჭი კი არ ვარ,
ყოველ დილით ვვარჯიშობ!


ლექსი სპილოზე

კითხვა ძალზე ადვილია,
პასუხი კი - მნელი.
რატომ დადის დიდი სპილო
მუდამ ფეხშიშველი?
ასე ხსნიან პატარები
ამ უცნაურ ამბავს:
- თავის ზომის ფეხსაცმელი
ვერ იშოვა ალბათ...




კურდღელი

კურდღელი ვარ ეურცქვიტა,
დავალ სკანასკუპითა.
მოვიპარავ სტაფილოს,
შევიჭამ კნატაკნუტითა.
ცივ წყაროსთან მივირბენ,
წეალს ვსვამ ელანაულუპითა,
მერე სერსე ეურები
მიმაქვს ტუპატუპითა,
წინ თუ შემხვდა მეველე,
ცრემლს ვღვრი დანალუპითა.



ფეხსაცმელი

- პირს შამვივით რისთვის ალებ,
ფეხსაცმელო, რა გჭირს?
მითხარ, იქნებ კბილი გტკივა
ეხას შეგიხვევ ნაჭრით.
შიმშილმა თუ შევაწუნა,
მოგცემ რძეს და ნამცხვარს.
- არა, ბურთი ვითამაშე
და ძალიან დამცხა.



პიპი სისარულიძე



ბაჩდაცვიდრი ხე

ჩვენს ქუჩაზე, მწვანე ფოთლებით გადაპენტილ ხეებს შორის, იდგა უკვე დამარცხებული, აქა-იქ მეჩხერად შემორჩენილი ფოთლებით, ერთი თბილისელი მდებარი ჭადარი. ის არც ვაჟაფშაველას შემოქმედების ნაყოფი იყო და არც რეზონანიშვილისა.

ასფალტის საფარს შორის აღმოცენებული, ერთი გოჯი მიწის შვილი. ან აქამდე როგორ მოაღწია მანქანების ღრინაცელსა და გამონაბოლქვში.

ალბათ არავინ იცის, რამდენი თბილისელი გადაარჩინა ავადმყოფობასა და სიკვდილს, რამდენი სანამლავი შეისრუტა ფოთლებით და ქარსაც კი არ გაატანა, რათა ქალაქი არ დაბინძურებულიყო. როგორი გულის ფანცქალით ელოდა წვიმას, რათა მისთვის შეეშვირა გამომშრალი ფოთლები. წვიმა ხომ ის ღმერთის ნაბოძები სიამოვნებაა, რომელიც კარგი სანიტარივით ჩარეხცავდა ფოთლებში ჩაბუდებულ შხამს, მერე კი ღრმად ჩამარხავდა მიწაში.

როგორ უყვარდა ყველა, ვინც მისი ტოტების ქვეშ ან მზეს ეფარებოდა, ან წვიმას, როგორ ეალერსებოდა ქალაქს და ქალაქელებს.

ეჰ, განა ვინმემ შეამჩნია მისი გულის ფეთქვა? აი, ვილაც მანქანის ფარების მფლობელმა კაკლის ხე ჩარგო მის გვერდით, თითქოს

შორიასლოს სხვა ადგილი არ იყო.

როცა კაკალი ნამოიზარდა, სანყალი ჭადარი ამოიჩემა, ჩემს კაკალს ჩრდილავს და ზრდაში ხელს უშლისო. მერე სხვა მეზობლებიც აიყოლია: აქაოდა, გაზაფხულზე თეთრი ნაყოფით იხუნძლება, რომელიც ჰაერში დაფრინავს ბამბასავით და ალერგიას ინვევსო. მოჭრაც მოინდომეს, მაგრამ გამწვანების სამსახურის თანამშრომლების შეეშინდათ და ვერ გაბედავს.

მერე ერთმა „ბრძენმა“ მეზობელმა ფესვებში ნავთის ჩასხმა შესთავაზა პირველ ნამომწყებს და განაჩენი სისრულეში მოიყვანა კიდეც. შენც არ მომიკვდე. ჭადარს არაფერი მოუვიდა.

მეორე მეზობელმა ქერქის აძრობა და ჭადრის ფესვებთან ცეცხლის დანთება გადაწყვიტა, რაც ერთხმად იქნა ატაცებული ყველას მიერ: — ეს რა ჭკვიანურად მოგიფიქრებიაო.

ჯერ ქერქი შემოაცალეს ერთი მეტრის სიმაღლეზე საცოდავს, მერე კი ცეცხლის ალში გაახვიეს. შაჰ-აბასი არ მოქცევია ისეთი სისასტიკით ტყვე ქართველებს, როგორც ადამიანები განწირულ ჭადარს.

ამ ბუნების შეცდომებმა ხეს ძველი ტომარა შემოახვიეს და ასე ჩააქრეს აგიზგიზებული კოცონი.

— რას შერებით ხალხო, როგორ სადისტებივით იქცევით. ღმერთი



არ შეგარჩენთ ამას, დაისჯებით-მეთქი. როცა ამ სიტყვებით მივმართე ბრბოს, მასხრად ამიგდეს — გაგიფრენია, ამ უფარვის ხეს ღმერთი კი არა, ეშმაკი მფარველობსო.

მივხვდი, ვერაფერს გავხდებოდი და გავჩერდი. ორ წელიწადში ჭადარი გახმა და წელ-წელა მიიცვალა კიდევ. გული ჩამწყდა, რომ ვერაფრით ვუშველე.

ექვსი თვე არ იყო გასული მისი გარდაცვალებიდან, რომ ფარეხის პატრონი ინფარქტით გარდაიცვალა.

— აფსუს, რა ვაჟკაცი წავიდა, რა მეოჯახე, როგორ უყვარდა ეზოში ფუსფუსიო. — ამბობდნენ შეკრებილი მეზობლები.

სამგლოვიარო სუფრასთან მჯდომი შიშმა ამიტანა: ვაი თუ ღმერთმა არ აპატიო ხეს ასე საღისტურად გახმობა - მეთქი. ჩემს ფიქრზე გიჟივით გამეცინა, გვერდით მჯდომ მეზობელს ჭიქა ჭიქაზე მივადე და მორიგი სადღეგრძელო დავცალე.

ორმოციც არ გასულიყო ფარეხის პატრონის გარდაცვალებიდან, რომ მისი ჭკუის მასწავლებელი, ჭადარზე ქერქის გამცლელი და ფესვებზე ცეცხლის წამკიდებელი კაცი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მაშინვე შიშით გამახსენდა ჩემი ნაფიქრი, — ნუთუ მართალი ვიყავი? — კიდევ ერთხელ ჩავფიქრდი მწარედ.

მთელი ორი კვირა ჩემს ტყავში ვერ ვეტეოდი. მერე ახლობელს გავენდე. ის ჩაფიქრდა და მიპასუხა: — ძალიან მწყინს, მაგრამ შეიძლება არც სცდებიო.

სალამოს ის ორი მეზობელი გამოვიყვანე სახლიდან, რომლებიც დიდი მონდომებით წვავდნენ საბრალო ხეს.

— ბიჭებო, თუ ძმები ხართ, ეკლესიაში წადით,

სანთელი დაანთეთ და ღმერთს პატიება სთხოვეთ. — ალაღად შევევედრე ორივეს.

— რისთვის? — აგდებულად მკითხა ერთ-ერთმა. მეორე კი შიშნარევი ხმით გამომიტყდა რომ ბოლო რამოდენიმე დღის განმავლობაში, სულ ამ თემაზე ფიქრობდა.

პირველი კი, როცა შეიტყო რის შესახებ იყო საუბარი, სიცილისაგან კინალამ ჩაბჭირდა — თქვე მშიშარა კურდღლებო, — მოგვაძახა.

— შენი საქმის შენ იცი, მაგრამ მე ხვალ წავალ ეკლესიაში. — უთხრა მეორემ და მართლაც დილით მე თავად მთხოვა ტაძარში გაყოლა. სანყალი, წმინდა გიორგის ხატის წინ მუხლებზე დაეცა და ლამის ტირილით შესთხოვა პატიება უფალს.

ვხედავდი, ჩემი ჩარევით კაცი სიკვდილს გადაურჩა. ისეთ ხასიათზე დავდექი, სიხარული-საგან კინალამ სიმღერა დავინყე.

ეკლესიიდან რესტორანში დავპატიჟე. როცა შეზარხოშებულნი სახლს მივუახლოვდით, დავინახეთ ეზოში შეკრებილი ხალხი. გულმა რეჩხი მიყო. მანქანიდან გადმოვვინთე და პირველივე შემხვედრს გიჟივით ვკითხე, რა მოხდა — მეთქი?

— დაწყნარდი, შენთან სიმშვიდეა, აი რაც შალვას დაემართა შენს მტერს და ავს. მის ცოლს გაზის ბალონი აუფეთქდა და ორივე ფეხი მოსწყვიტა, ან გადარჩება ან არა. — ვგრძნობდი, რა ძალით მოქმედებდა ჩემზე ეს სიტყვები. გვერდზე გავიხედე. ჩემი ეკლესიური ძმა გაფითრებული იდგა და შემომცქეროდა. უცებ გულში ჩამიკრა და აქვითინებულმა მითხრა, — შენ გადაამირჩინე ოჯახიო.

მე მწარედ ჩამესმა ყურში უკვე განადგურებული შალვას დამცინავი სიტყვები: — თქვე მშიშარა კურდღლებო, თქვე მშიშარა კურდღლებო...

თრიბის სურნედი

რამდენადაც ლამაზია და ნაზი გაზაფხულის ყვავილი, იმდენად უფრო სევდიანია. ვერ ეგუება მისი სინაზე უხეშობითა და სიბინძურით სავსე გარემოს. ის ვერ იბრძოლებს სიცოცხლისათვის, რადგანაც ბრძოლა ძლიერთა ხვედრია. ვიოლინოს სიმების უნაზეს ჰანგებზე აღმოცენებული და ამაოებაში მოვლენილი ციური ქმნილება, რომელსაც თავისი ცხოვრების თანამორბედად სილამაზის სიმბოლო, პეპელა აურჩევია და უდრტივინველად იფერფლება მის სიყვარულში, თითქოს შეგნებულად იზიარებს მის ხვედრს.

პეპელა კი, როგორც მწყურვალე წყაროს, ისე ენაფება ყვავილის მტვერს, თითქოს უნდა,

თავისი სიცოცხლის მცირე დროში ჩაატოს ვნებების ოკეანე. ყვავილი მიბნედილი და ტიტანურ გრძნობებში ჩაძირული, მინდობილი მისი რჩეულის ველურ აღტკინებას, კარგავს ქალწულობას და სიამოვნების ჟრუანტელში ემშვიდობება სიცოცხლეს. იქნებ ამაში არის ის, რაც ვერ შეიცნო ადამიანმა, იქნებ ერთი სიამოვნების ჟრუანტელში გარდაცვლილთა ხვედრი სჭარბობს თავისი სიმძაფრით ადამიანისეულს.

ამაზე პასუხის გაცემა შეუძლია მხოლოდ გარდაცვლილ ყვავილს, რომლის ბაგეზე კიდევ შერჩენილა პეპელას მხურვალე კოცნით გამონვეული თრობის სურნელი.

ბიორბი ჯაფარიძის ხელოვნებითი გზა

თვალს გადავავლებ რა ლამაზი, კოპნია ქალაქის, ონის წარსულს, თვალწინ გამამბლებს ბედნიერი დღეების ნუსხა, როცა აქ, ამ პატარა სამოთხეში კულტურის ჩირაღდანი გიზგიზდება. თეატრი, სიმღერისა თუ ცეკვის ანსამბლები განუმეორებელ პანორამას ქმნიდა. ეს იყო ჩვენი, იმ დროინდელი თაობის სულიერი საზრდო, რომელიც უხვად მოედინებოდა შემოქმედი ძმები ჯაფარიძეებისაგან. ვახსენებ თუ არა შალვა ჯაფარიძეს, უდიდეს ლოტბარს, ბრწყინვალე შემოქმედს, იმ წამსვე თვალწინ დაგვიდგება ქალბატონი, ყოველთვის კლასიკურობით, ელევანტურობით გამორჩეული, შეუდარებელი პიანისტი და კონცერტმეისტერი, სცენის მშვენება ციციო ჯაფარიძე.



წვერი ხდება. პედაგოგი, დედა, ციციო ჯაფარიძე, რომელმაც შვილს ცხოვრების დიდი გასაღები ჩააბარა. ცხოვრების, რომლის კარიბჭეც ხელოვნების საუფლოსთან მიდის. დედამ აამღერა პირველად პატარა გიორგი. შთაუნერგა მაყურებლის პატივისცემა, სცენის კულტურა, რითაც თავად ქალბატონი ციციო სხვათაგან მნიშვნელოვნად გამოირჩევა. მაგრამ მადლიერი


კვიცი გვარზე ხტისო, ნათქვამია, დღეს მის ვაჟზე ლეგენდები დადის, სრულიად ახალგაზრდა, ოცდახუთი წლის ბიჭმა, გიორგიმ დედასთან ერთად შეძლო თბილისში, შოუ ბიზნესში ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა. სამი წლის ასაკიდან მღერის. გამართულად ვერ ლაპარაკობდა, როცა ყარაშვილის „სამშობლოს“ ფრაგმენტებს ასრულებდა. დედამ უკვე სამი წლის ასაკიდან სცენაზე დააყენა, რამიშვილის „ბულბულის სტვენა“ შეასრულა. ახლაც ახსოვს გაჩახჩახებული სცენა, დედამისის მიერ დაკრული პირველი აკორდი და აი, აქედან დაიწყო ყველაფერი...

გიორგი 5 წლის ასაკიდან ანსამბლ „ბიჭუნების“

შეგირდი ლოტბარს, შალვა ჯაფარიძეს მოძღვრად მოიხსენიებს, ამბობს, რომ მან ოქროს კვალი დატოვა მის შემოქმედებით გზაზე.

2003 წელი. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ფესტივალი „ბრავო 2003“ გაიმართა, სადაც გიორგიმ პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა. კლასიკური მუსიკის განხრით პირველი ადგილისა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა. ეს იყო არა მარტო დედა-შვილის, არამედ მისი დიდი ოჯახის უდიდესი სიხარული და ბედნიერება.

ამას მოჰყვა 2004 წლის ფესტივალი, „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, სადაც კვლავ I ადგილი და ოქროს მედალი ერგო წილად. ამავე წელს გიორგი პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახდა. შემდეგ ფესტივალი „ნილაბი“, კვლავ I ადგილი, პროექტი „ოქროს დისკი“, რომელიც ტარდებოდა ნიჭიერი კომპოზიტორის ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკის თაოსნობით, ეს პროექტი გახდა წინამორბედი მისი კონსერვატორიის სტუდენტობისა (პედაგოგები: პროფესორები ქეთი და თემურ ელიაშვილი და ქ.



ქეთის დედა ლამარა გოგლიჩიძე).

18 წლის იყო, როდესაც სურვილი გაუჩნდა ქალაქის მასშტაბით კონკურსი გაემართა, სახელწოდებით „მეგავარსკვლავი 2008“. დაიწყო შესარჩევი ტური, სადაც გვერდით უსხდნენ და მასთან ერთად კონკურსანტებს აფასებდნენ: ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, მიშა ზაქარეიშვილი, ზურა მანაგაძე, ზურა დოიჯაშვილი, კახა ცაბაძე. აი, ასეთი ადამიანების გვერდში დგომით შეძლო ნ. დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ-მაცურებელთა თეატრში ძლიერი კონკურსის ჩატარება.

ამის შემდეგ გააკეთა მუსიკალური პროექტი „ანშლაგი 2009“, სადაც ასევე ქართული ესტრადის ვარსკვლავები აფასებდნენ კონკურსანტებს.

ამას მოჰყვა კიდევ უამრავი წარმატებული პროექტი.

მაგრამ გიორგის მრავალმხრივმა ნიჭმა რეჟისურისკენ უბიძგა. იფიქრა, ვეცდები, იქნებ ესეც გამოვივიდესო. დაწერა სცენარი და გადამყვითა სერიალი გადაეღო. სცენარი დეტექტიური ჟანრის აღმოჩნდა. დაიწყო გადაღება, თავდაპირველად სამეგობრო დაიყენა გვერდით.

სერიალში აღმოჩნდნენ ქართული კინოსა და თეატრის ვარსკვლავები, როგორებიც არიან: ნინო ხომასურიძე (დღეს პოლივუდში პედრო ალმადოვართან თანამშრომლობს, გიორგის უფროსი მეგობარია), მარინა კახიანი, რომლისთვისაც სცენარი დაიწერა, მარინა ჯანაშია, დალი დოიჯაშვილი, დონარა გვრიტიშვილი, გიორგის უახლოესი ადამიანი, მაკა შალიკაშვილი, ქართული კინოსა და თეატრის მეგა ვარსკვლავი ზურა ყიფშიძე, ქართული კინოსა და თეატრის ბრწყინვალე ვარსკვლავი გივი ჩუგუაშვილი, ავთო მიქაძე, ამირან ბუაძე, სოსო ლალიძე, ჯემალ ლალანიძე, დიმა ტატიშვილი. ვალერი კორშია, თემურ კილაძე, ზურა გენაძე, ზაზა გოგუაძე.

მეგობრები: ჯაბა კილაძე, კახა მიქიაშვილი, პაატა პაპუაშვილი, სანდრო მიკუჩაძე-ლალანიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, დათო დარჩია.

ახალგაზრდები, ქართული კინოსა და

თეატრის უნიჭიერესი მსახიობები: ნიკა გაბელია, ლაშა გურგენიძე, ათული მიქაძე, ია ვახანია, ია მღებრიშვილი.

ეს არის 24 სერიანი დეტექტიური ჟანრის სერიალი, რომლის 4 სერია უკვე გადაღებულია. რეჟისორთან ერთად სერიალზე ძლიერი ჯგუფი მუშაობდა. სერიალის დამდგმელი მხატვარია ნიჭიერი ადამიანი ჯემალ მირზაშვილი, დამდგმელი ოპერატორი, თამაზ გოგინაშვილი, მეორე რეჟისორია მანანა თარალაშვილი, რომელსაც არაერთ ფილმზე თუ სერიალზე უმუშავია, რეჟისორის ასისტენტი: მაია არეშიძე.

გასულ წელს გიორგის ტელეკომპანია ტვ-3-ზე ჰქონდა საკუთარი თოქ-შოუ, წამყვანი ნინო ხომასურიძე, შოუ ყოველ პარასკევს 22:30 გადიოდა ეთერში.

გიორგი ასევე „ყვითელი შოუს“ ავტორია. (წამყვანი თაკო აბაშიძე). შოუ ტელევიზორცეში საკმაოდ რეიტინგული გადაცემა აღმოჩნდა.

გადაცემა „შოუ ბარი“, ოთხშაბათობით 22:30 წუთზე. მაცურებელს მაკა შალიკაშვილი ინვევდა ეკრანზე.

ამ სამივე გადაცემის პროექტის ავტორი, სცენარის ავტორი, გენერალური პროდიუსერი და დამდგმელი სცენარისტი გიორგი ჯაფარიძე გახლავთ.

ამჟამად მუშაობს ახალ მუსიკალურ პროექტებზე „ახალი ვარსკვლავი 2015“, მუსიკალური პროექტი „მეგა ვარსკვლავი“. მისი პროექტები შეუქმნა ტელეკომპანია „music box“-ზე.


აი, ასეთი დახუნძლულია გიორგი ჯაფარიძის შემოქმედებითი არეალი, გზა, რომელიც წინ უამრავი წარმატებებით და მოულოდნელი სიურპრიზებითაა აღსავსე.

ბედნიერია ქალბატონი ციცო, უყურებს და ხარობს, რომ ბავშვი, რომელსაც მთელი თავისი პირადი ცხოვრება უძღვნა, დღეს საქართველოში ცნობილი და შემდგარი შემოქმედია.

წარმატებას ვუსურვებ გიორგის დიდ შემოქმედებით გზაზე.



მრავალკუთხედიანი შელომ რეხაიმი



**ქართულად
ამღერებულნი
მორან
მაზორი**

შალომ ისრაელ, შალომ! რამეთუ შენს მიწაზე აღმოცენებულ ქართულ თესლს მიეცი განაყოფიერებისა და გამრავლების საშუალება. დღეს ისრაელში ქართული სული ზეიმობს, ქართული სიტყვა მხნეობს, ქართული სიმღერა სჭექს და ქართული გენი გუგუნებს.

ეს მადლი ჩვენმა ქართველმა ებრაელებმა მოჰფინეს ისრაელის მიწას. ქართველობა ხომ ასე ადვილად მოსახდელი „დაავადება“ არ არის, შეეყარათ რა ეს „კეთილშობილი სენი“ ჩვენს გვერდით მაცხოვრებელ ებრაელებს, მისი კლანჭებიდან ასე იოლად ვერ თავისუფლდებიან. რედაქციაში სტუმრები დედა-შვილი ნანა და მორან მაზორები

ბატონმა გივი სიხარულიძემ მოიყვანა. ქალბატონი ნანა 1 წლის იყო, როდესაც საქართველოდან წაიყვანეს. დღეს იგი 44 წლის ქალია, მაგრამ გამართული ქართულით მეტყველებს, ქართული ლოგიკით მსჯელობს, ქართული კერძებით კვებავს ოჯახს და ქართული ტრადიციებით ზრდის შვილებს. „შემეძლო იქაურ ებრაელს წავყოლოდი, მაგრამ მეც და ჩემს მშობლებსაც ქართველი ებრაელი გვინდოდა სიძედ, ამიტომაც ბათუმელ ებრაელზე დავქორწინდი, სახლში სულ ქართულად ვლაპარაკობთ, ჩემი შვილები ქართულ ატმოსფეროში გაიზარდნენ. ბებიები ბავშვებს ქართულ ზღაპრებს უკითხავდნენ. დედაჩემი



ევროვიზია 2014
მორან მაზორი

პიანისტია. ჩემს გოგონას სწორედ მან გაუკვლია გზა მომღერლობისაკენ. ჯერ კიდევ კარგად ვერ ლაპარაკობდა, რომ „ჭრელო პეპელა“ სიმღერა ისწავლა, სამი შვილი მყავს, სამივეს ესმის ქართული ენა, თუმცა მორანი ყველაზე უკეთ საუბრობს. უყვართ საქართველო და ყველაფერი ქართული“.

— ასე იწყებს ჩვენთან საუბარს ქალბატონი ნანა, რომელიც საქართველოს მეორედ სტუმრობს. საოცრად უყვარს აქაურობა, ბინის ყიდვასაც ფიქრობს, ამბობს, რომ ეს მისი მეორე სამშობლოა. „პირველად შვიდი წლის წინ ჩამოვედი, აეროპორტიდანავე განსხვავებული გრძნობა დამეუფლა, მივხვდი, რომ ფეხი ნანატრ მიწაზე დავდგი, თუმცა აქ უცხო არაფერი მეჩვენა, ეს ყველაფერი ჩემი იყო, ჩემი, სადაც დავიბადე და თვალი ავახილე. ამის შედეგად გული სულ საქართველოსკენ მომიწევს. ჩემი გოგონაც იგივეს ფიქრობს, უნდა რომ თბილისში ბინა გვქონდეს. ძალიან მოსწონს ქართველი ხალხი, ყოფაცხოვრება, ტრადიცია, კულტურა, ეს ხომ მისთვის უცხო არ არის. შვილები მე და ჩემმა დიდმა ოჯახმა ქართულ გარემოში აღვზარდეთ“.

დღეს მისი გოგონა მორან მაზორი ისრაელში ცნობილი მომღერალია. სიმღერა 9 წლის ასაკიდან დაიწყო. ბებიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ

ნიჭიერი მომღერალი გამოსულიყო. ერთი წელი ჯარში იმსახურა. იქაც მღეროდა, შემდეგ დაიწყო ევროვიზიისათვის შესარჩევი ტური. მორანმა ყველა კონკურსი წარმატებით გაიარა და ისრაელმა თავის სახედ აირჩია. ევროვიზია 2014 –ზე ისრაელი სახელოვნად წარადგინა. დღეს იგი ცნობილი და მოთხოვნადი მომღერალია. აქვს შემოთავაზება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მუსიკალური პროექტებიდან.

გასულ წელს მას კონცერტი საქართველოშიც ჰქონდა. მერაბ სეფაშვილთან ერთად „თეთრი გედი“ იმღერა.

საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მის მიერ აკაპელაში შესრულებულმა „თეთრმა გედმა“, გოგონა ქართულად მღერის, ინტონაცია, გრძნობა და ხმის ტემბრი სუფთა ქართული აქვს. თუმცა სულით ხორცამდე ებრაელი ქალია, რომელმაც იცის სხვა ერების პატივისცემა, თუმცა საკუთარს წინა პლანზე აყენებს, მისთვის ისრაელია



ნანა მაზორი

სულის სავანე, ერთადერთი ქვეყანა სადაც მუდმივად ვიცხოვრებდი, ეს ჩემი ისრაელიაო, ამბობს. მეუღლეს მხოლოდ ებრაელი უნდა, თუმცა ქართველობა მისთვის განუყრელი გრძნობაა.

ტაქტი მოაგზადა ნინო რახვიაშვილმა



**მზია
მანსუჩაძე**

ეს ერთად ყოფნა რა ღამაშია

შაორის ზირას (ჭალაში)

მანქანის ბორბლებს -შარავის მტვერი
ცელქი ბავშვივით განარებული გამოეკიდა.
ზაფხულის ზირას, ეველგან გარშემო
ყუანობები გამოეფინა.

იქ, გვირილებმა თავი წამოყვეს
ეს ვინ მოჰქრისო ამ სისხამ დილას?
რა ღამაშია ტუის ანარეკლი!!!
მოდო, შევჩერდეთ შაორის ზირას...
-თბილად მიგვიღეს მავულის ბუჩქებმა,
შავტუხა ანწლმა ,მწვანე კუნელმა.
შეშელას ფრთები ჩამოუსწორა
ცელქმა ნიაჟმა - ცოტა სულელმა.
თბილი სიტყვები ეველას ვუთხარით,
ნექტარს აგროვებს ველზე ფუტკარი,
უკვე ჯერია ველური ვარდის,
თვითონ არა ჩანს, ხმა ისმის შაშვის.
მწვანე კალია ბალახზე დახტის,
ჭიანჭველს კი სულ ტვირთით დარბის.
იწვიმებს? არა? სანამ ვკამათობთ
ჭიამაია ციციქნა ფრთებს გამლის...
- ფიჭვი და ნაძვი, სოკო და მარწვევი,
აქვე ციუენებს დაუღვეთ ბინა.
ზატარმალვივით მორთულ კალმანებს
ცივი მდინარეში ქვების ქვეშ მინავთ.
-გამოეზარა ღრუბელს მზის სხივი.
და თავდაყირა ჩაემვა ტბაში,
ტუის ანარეკლი გააფერადა,
თან ოქროსფერი ჩაღვარა წყალში.

ნავით შეცურდა ტბაში ღრუბელიც
არ მივესალმეთ თურმე იწუინა.
კოპები შეკრა და გაგვებუტა
ცოტათი ცრემლი ჩამოიდინა.
ჩვენც სიყვარულით ზეცას ავხედეთ
გაინარა და ჩაივრინინა.
სარზე მიბმულმა ხბომ შემოგვბლავლა,
კვიციის ჭიხვინი რომ მოისმინა.
სულ ცოტა ხნის წინ, თურმე შვილის ნუკრმა
წელის დასსლევად ჩამოირბინა.
ქარმა ბორბალი ააფრიალა,
იქიდან მწერმა გაიჭყიტინა .
შემოგვეგება სოფლის ორღობე,
მალღმა იეეფა- გოჭმა იჭყივლა,
და, რაღა დარჩა, წყაროც გამოჩნდა,
გარბი-გამორბის კრუსი-წიწილა.
ვერ მოვასწარით ესოში შესვლა,
კოკისპირულად ისე იწვიმა.
კაკო ბაბუამ შუბლზე გვაკოცა,
და, სინარულით ბებომ იტირა.
გამლილ სუფრასე უკვე აწევია
ბებოს ჭადი და ბაბუს"ვიჩინა".
რამ დაახნია ეს მამლანეინა,
როცა დაღამდა, მაშინ იეივლა.
მე თქვენს არუოფნას ვერ შევეგუე,
არ გამიარა გულის ტკივილმა.
მოგონებებმა არ მომასვენა
აღარ გაჩერდა ცელქი ჭრიჭინა....

შენ გამახსენე ჩემი ბავშვობა

თითის წვერებსე მინდა ვიარო
 ფეხქვეშ დაგიგო ფარჩა უვავილი,
 გამოვიპარეთ, ახლა მარტო ვართ,
 იუოს, დედოკო არის დაღლილი.
 ჩვენ ვისაუბროთ და ვილილინოთ,
 შენ მეტყვი ალუს, მე გეტყვი ლექსებს,
 შენ, ჩემი სულის წმინდა უვავილო
 წაგიყვან მთაში, დავიბრუნებ ველებს.
 შენ გამახსენე ჩემი ბავშობა
 დიდი თხილის ხე და წიწილები,
 ბებოს ძველ სახლთან, თეთრი ენძელა,
 იქვე მინდორში ტყე გვირილების,
 ჰატარა წყარო თავქვე დელესთან,
 და ჩვენი დეღვის უსომო სიტკბო,
 იქ, შუაწყნლხე ქვაბის დულილი
 და ნაკვერჩხალის შუქმფენი სითბო.
 კარეთ ესოში კაკლის ხეებსე
 თვალდაჭეტილი სხედან ჭინკები,
 ჩვენ სიუვარულის ვთქვათ სადღეგრძელო,
 აბა, შეავსეთ ჩაის ჭიქები!
 ნაცარს ნუ ქექავ, ნაცარქექია,
 თორემ ამ ღამით სველი იქნები,
 ბებო, ჩვენ თვითონ ჭინკები არ ვართ?!
 რას დაგვაკლებენ კაკლის ჭინკები.
 ავანთებთ კვანში სანთელს ჰატარას
 და დიდი გულით არ შევშინდებით.
 დილით იეივლებს მამალი ლაღად,
 აიშლებიან კრუნ-წიწილები.
 იქ, ხორბლის სუნით სავსე ბეღელი,
 და სიმინდებით სავსე ნალია,
 და მოპარული თეთრი უურძენი
 და მორბენალი ჭრელი ვარია.
 ზოზინით მოდის სოფლის ნახირი,
 რმეს აქცევს გზაში ეს ჩვენი წაბლა,
 იქ, გობთან მტირალ ტირიფის ხეებს
 დუწევიათ თავები დაბლა.
 ჩვენ ბეზრი დრო გვაქვს და მოვიგონებთ
 წარსულისა და მოძავლის დღეებს,
 ჩვენ ვისაუბრებთ და ვილილინებთ
 შენ მეტყვი ალუს, მე გეტყვი ლექსებს.

ეს ერთად ეოფნა რა ღამაზია!

რატაში, ადრე შემოდგომაა...
 მეგობრები ვართ სტუმრად ბებოსთან,
 ეს ერთად ეოფნა რა ღამაზია,
 ერთი ბიჭია მხოლოდ სოფელში
 მას ეპრანჭება ჩვენი ძაია.
 დიდი ბოტები, სიცილ - ხარხარი
 ტბასთან კარავი - რა ღამაზია.
 ჭიქა არაყი, მწვადი დამწვარი,
 კარტოფილები უმად აწევია,
 რამ ვაბანავა, ისეთ ცივ წყალში,
 ახალგაზრდობა რა ღამაზია!
 შორს ხეებს ჭრიან,
 ხერხით გლეხები
 ეს შორით ექოც რა ღამაზია!
 დაცვად გამოგუვება ჩვენი აკაკი
 ბიჭი ანკესით - რა ღამაზია!
 ბებო ამალით ჯვარზე ასულა,
 ჩვენ გველოდება, რა ღამაზია!
 თეთრი ბილიკით ავალთ გორაზე,
 შორს ნიკორწმინდა რა ღამაზია!
 წითელ - უვითელი
 მწვანე - ცისფერი
 და ლურჯი ფონი
 რა ღამაზია!
 აქით კუნელი,
 იქით ასკილი
 წითელი შინდი რა ღამაზია.
 ტყეში ხის სოკო,
 თხილი და წაბლი,
 დიდი მუნის ხე რა ღამაზია,
 თავქვე გამოზობის ღორი ღრუტუნით,
 ცამეტი გოჭით რა ღამაზია.
 თამილა- ბებო, ჯონდო - ბაბუა
 ის მანჰინძლობა რა ღამაზია,
 32 - წლის წინანდელი
 ის შემოდგომა კვლავ ღამაზია.
 ისეთი სითბო დარჩა თქვენს შემდეგ,
 ჩვენი ცხოვრება კვლავ ღამაზია!



მინდელის სასწაული და სურსის მონასტრის თავისმზავრება

სოფელი სორი რაჭაში, ონიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადის, სონტარულას ნაპირზეა გაშენებული. ამ მხარეში მდებარე მინდა ციხეს ვახუშტი ბატონიშვილი რაჭის ერისთავებს უკავშირებს, ხეობას სორისხევის სახელით მოიხსენიებს და იქ მდგომ დიდსა კეთილნამუნ „უგუმბათო მონასტერსაც“ ახსენებს. მისი აღწერით, მდინარე „ლუხუნის აღმოსავლეთის კიდის მაღალს კლდის გორას ზედა და რიონის ჩრდილოთ არს ციხე მინდა, მაგარი და აულელები მტრისაგან და ვის უპყრავს ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა. ამ ციხისავე ძირს კოშკი დგას ლუხუნის კიდეა ზედა მცველად წყლისათვის. ამ მინდას ზეით მოერთვის რიონს ჩრდილოეთიდან სორისხევი. ამაზე არს მონასტერი უგუმბათო, დიდი, კეთილშენი, ან.ხუცის ამარად“ [ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 765-766].

სორი და მისი მიდამოები ოდითგანვე გამოირჩეოდა თავისი სიძველეებით. სოფლის მოშორებით მდგომი, „ჯვარის“, იგივე „ჯვარცმის“ მონასტრის სახელით ცნობილი ეკლესიის გარდა, მის შემოგარენში სამი ეკლესია ყოფილა: ერთ-ერთი მათგანი, სოფელში მდგარი წმ. გაბრიელ მთავარანგელოზის არც თუ დიდი საყდარი, არსებული გადმოცემით, იმ ერისთავის გამზრდელის მიერ ყოფილა აგებული,



რომელმაც სორში მონასტერი დააფუძნა. მეორე ეკლესია სოფლიდან დაახლოებით სამი კილომეტრის დაშორებით, „სკადორის“ სახელით ცნობილ ადგილას მდგარა, ხოლო მესამე — ტყეში არსებული ნანგრევები, ცნობილი იყო, როგორც „გადამშის ნასაყდრი“. სოფელში ასევე მდგარა ოთხი კოშკი, რომელთაგან ორი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს დანგრევის პირას ყოფილა მისული [O. Миндели, 1894, გვ. 120-121]. სორის დასავლეთით, მდ. რიონის ნაპირზე, ციცაბო „მაგალთის კლდეზე“, ჩიტის ბუდესავით მოჩანს ქვის ნაშენი, საიდანაც გამავალი მცირე ქვაბი იმდენად პატარა მოცულობისაა, რომ ტანმორჩილი ადამიანიც კი მხოლოდ მჯდომარე მოთავსდება. გადმოცემის თანახმად, იქ ბინა დაუდევს წარმოშობით ოსგოლიათს, სახელით კაისს, რომელიც გზად მიმავალ მგზავრებს ძარცვავდა. [O. Миндели, 1894, გვ. 121].

მაგალთის კლდის, იგივე კაისის-კლდის ბოლოს, ლიხეთ-მაგალთის სიმაღლეზე, სორისა და წესის საზღვარზე, მაღალ მთაზე აგებული დიდი ციხე-სიმაგრე მინდა-ციხეს, მინდლისციხის სახელით არის ცნობილი. ციხესთან დაკავშირებულია გადმოცემა, რომელიც თავისი ქარგით სურამის ციხის თქმულების მსგავსია. ხალხში გავრცელებული გადმოცემით, ბერძენი და თურქი მშენებლები ციხის ან ხიდის მშენებლობისას კედელში ყოველთვის ატანდნენ სუსტ არსებას – ცოცხალ ბავშვს ან, უკიდურეს შემთხვევაში ჩიტს ან შინაურ ოთხფეხა ცხოველს. თქმულების თანახმად, ციხის შენებისას მშენებლებს დაუჭერიათ ადგილობრივი მაცხოვრებელი მინდელის გვარის პატარა ბიჭი და მისი კედელში ჩაშენება დაუნყიათ. ეს ამბავი ბავშვის დედას გაუგია და მშენებელთან მისულს მისის გამოხსნა უცდია, მაგრამ იგი ახლოსაც კი არ მიუშვიათ შვილთან. კედელთან მდგომი მტირალი დედა, რომელიც ხედავდა, თუ როგორ აშენებდნენ კედელში ცოცხლად შვილს, მას ეკითხებოდა: „შვილო სადამდი? დედა, მუხლამდი! შვილო სადამდი? დედა, მუცლამდი! შვილო სადამდი? დედა, გულამდი!“

შვილო სადამდი? დედა, თავამდი! შვილო სადამდი?
დედა, გათავდი!“ უბედური დედა ციხესთან ახლოს
ქვითინებდა და ლექსად დასტიროდა თავის შვილს:

მინდლის ციხე მინდია,
ჩემი ცოდვით საესკა:
თავწითელა მინდლის შვილი
კირწისთავით ასვია.

ციხის აგების შემდეგ გადმოცემა რაჭველთა
რწმენაში იმდენად ყოფილა გამჯდარი, რომ 1863
წელს სამხედრო გზის მშენებლობისას, როცა
მიმდინარეობდა მაგალთის-კლდის ქვემოთ მდინარე
რიონზე ხიდის მშენებლობა, დაშინებული სორის
მცხოვრებლები ბავშვებს მართო არ უშვებდნენ
და საქონელსაც მოშორებით მიერეკებოდნენ
საძოვარზე. მშენებლობის დასრულების შემდეგ ხალში
გავრცელებულა ხმა, რომ მშენებელ ბერძნებს, მას
შემდგომ რაც ბავშვი ვერ მოიხელთეს, ხიდში ცოცხალი
მამალი ჩაუტანებიათ [O. Миндели, 1894, გვ. 123].

სორის ჯვრის სახელობის მონასტერს უკავშირდება
გადმოცემა, რომლის თანახმადაც ტაძარზე
აღმართული სპილენძის ჯვარი ადრე გადამშის
მონასტერს ეკუთვნოდა. სონტარულას ნაპირზევე,
ტყეში მდგარი გადამშის მონასტრის ნანგრევები
ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე ყოფილა შემორჩე-
ნილი. გადმოცემით, წყალდიდობისას ადიდებულ
სონტარულას გადამშის ეკლესიიდან ჯვარი
მოუგლეჯია და სორის ეკლესიაში მიუცურებია. ეს
გადმოცემა საფუძვლად დაედო სიმღერას:

სონტარულს შემოუთვლია;
მოვალ და მოველალები,
ფეხზე არ მინდა ნალები,
წისქვილი ბევრი წავიერ
ზედ დაჭედილი კარები,
მონასტერს მიუვანლოვდი
ზედ გადავხიე მკლავები,
კარგი ჯვარი ქვე მივართვი
ბუშტები აქვს და თვალები,
ანდრია მინდელს სუცესსა
გადაურიე ქალები;
იმას ბოსტანი მოვსტაცე
ქინძი, ქონდარი, კამები;
რცხალის ღვინო ბევრი ჰქონდა,
წითელი იყო ლალები.
მინდოდა შინ შევსრულიყო
მენახა მათი ქალები,
ჭიშკარზე რომ დამინახეს,
ფიცხლად მოკეტეს კარები,
ჩინაბაძის ვენახს ვეცი,
მოვლღიზე მისი ვაწები;

რიონო! ჩამომეცალე
სკოდორას მიუქანები.

საუკუნეთა განმავლობაში სორის ჯვრის (იგივე
„ჯვარცმის“) სახელით ცნობილი ეკლესია რაჭის
ერისთავთა საგვარეულო მონასტერსა და მათ
სამარხს წარმოადგენდა. გადმოცემით, ეკლესიის
სამხრეთ ეკვდერში, რომელიც XIX საუკუნის
70-წლებში ეკლესიის განახლებისას მოუშლიათ,
რაჭის ერისთავთა აკლდამა იყო. ეკლესიის სამხრე-
თით „ნაციხურის“ სახელით ცნობილ პატარა გორაკზე
ძველად იდგა სამრეკლო, რომლისგანაც ჯერ კიდევ
გასული საუკუნის ცნობილ პატარა გორაკზე ძველად
იდგა სამრეკლო, რომლისგანაც ჯერ კიდევ გასული
საუკუნის დასაწყისში მხოლოდ საძირკველი იყო
შემორჩენილი. ადგილობრივთა ცნობით, აქ განძი
უნდა ყოფილიყო დამალული. დღესასწაულებზე ამ
ადგილას თემის ანუ „თემად“ დასხდომა ცოდნით [გ.
ბოჭორიძე, 1994, გვ.224].

სორის მონასტრის სახელწოდების თაობაზე
ერთიანი აზრი არ არსებობს. მიჩნეულია, რომ
მონასტერი ჯვარცმის სახელობისა იყო [ს. კაკაბაძე,
1929, გვ. 102; გ. ბოჭორიძე, 1994 გვ.215], თუმცა მას
წმ. გიორგისაც უკავშირებენ (პ. უვაროვა, როგორც
ჩანს, ჭარელიძესთა სავედრებელი წარწერების
საფუძველზე, მას წმ. გიორგის ეკლესიას უწოდებს;
იგივე აზრისაა ი. ჭიჭინაძე [II. Уварова, 1894, გვ.117;
ი. ჭიჭინაძე, 1985]). წერილობით წყაროებს თუ
დავუჯერებთ, სორი ჯვარცმის სახელობისა ჩანს.
ერთ დროს სორში დაცულ XII საუკუნის ოთხთავზე
შესრულებულ, რაჭის ერისთავ ბედანის XVI საუკუნით
დათარიღებულ, სააღაპე დაწერილში ნათქვამია:
„ქ. სახელითა ღმრთისა, შენ, მხსნელო და მეოხო
და მფარველო სულისა ჩუენისო იესო ქრისტეო
და მაცხოვარო, ჯვარცმაო ქრისტესო, რომელმან
ჩუენსა ხსნისათვის ჯვარცმაც ითმინე“ (ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი, შემდგომში – ხეც, -1707, 52გ
[ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კოლექცია,
IV, 1950, გვ. 137]). XV საუკუნისათვის მონასტრის
ჯვარცმის სახელობაზე ასევე მეტყველებს ერისთავ
მირიან ჭარელისძის განგებით შექმნილი ჯვარცმის
კარედი ხატი, რომელიც სორში ინახებოდა. ამდენად,
თვალსაზრისი, რომ მონასტერი თავდაპირველად
ჯვარცმის სახელობისა იყო, სავსებით მისაღებია.

მონასტერს სორში XIX საუკუნის შუახანებამდე
უარსებია [O. Миндели, 1894, გვ.34]. ბატონიშვილი
ვახუშტის ცნობით, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ
ნახევარში, მონასტერი მხოლოდ ერთი ხუცის ამარა
იყო დარჩენილი [ქართლის ცხოვრება, IV, 1073, გვ.
766]. 1825 წლისათვის მონასტრის მთელი კრებული
მხოლოდ წინამძღვრისა და მთავარ დიაკონისაგან
შედგებოდა [ვ. გობეჯიშვილი, 2006, გვ. 53]. ამ
პერიოდში უმოღვანიათ სორში მღვდელმონაზვნებს
– დავით შიოს ძე მინდელსა და იოანე ქაიხოსროს ძეს.
ეკლესიის, მისი მხატვრობის, წარწერებისა

და სიძველეების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის სიძველისმოყვარულთა და მკვლევართა ჩანაწერბსა და ნაშრომებში ჩნდება [მ. ბროსე – 1851 წ. ო. მინდელი – 1894 წ. პ. უეაროვა – 1894 წ., ე. თაყაიშვილი – 1919-1920 წწ., გ. ბოჭორიძე – 1923წ.]. სორში დაცულ ძვირფას სიძველეებს, განსაკუთრებით კი პატიოსანი თვლებით უხვად მოჭედულ ხატს, ჯერ კიდევ 1840-იან წლებში მ. ბროსე აღტაცებაში მოუყვანია.

ეკლესია სოფლის ჩრდილოეთით, მისგან რამდენადმე მოშორებითაა აღმართული. ბუნებრივ შემადგენლობაზე მდგომი ერთთავიან უგუმბათო ნაგებობას (14,5X 6მ) დასავლეთიდან მდინარე ჩამოუდის, აღმოსავლეთიდან კი მთის ტყიანი ფერი ებჯინება.

ფლეთილი ქვით ნაგები, განიერი და შედარებით მოკლე გეგმის, ამასთანავე ზეაზიდული პროპორციების მქონე დიდი დარბაზული ეკლესია თვალსაწიერში შორიდანვე ჩნდება. ტაძრის ფასადები სადაა; იგი მხოლოდ კარ-სარკმელთა მამკობი გვიანი ხანის რელიეფებითაა გამშვენებული.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ეკლესიაში განახლებითი სამუშაოები ჩაუტარებიათ. იმხანად დაურღვევიათ მისი სამხრეთი და ჩრდილოეთი ეკვდრები, რომლებიც იმ დროისათვის უიკვე დანგრეული ყოფილა; ასევე დაუგრძელებიათ დარბაზის დასავლეთი ნაწილი. განახლება-მოგვიანოდ მიშენებული მონაკვეთი ერთიანადაა შელესილი და შეეთერებული, ხოლო საკურთხევლის და დარბაზის ძირითად ანუ ძველ ნაწილს ფრესკები ამკობს.

ეკლესიის ვრცელი და ხალვათი, ზეაზიდული პროპორციების მქონე ინტერიერი სისადავით გამოირჩევა. მის ცილინდრულ კამარას პილასტრებზე გადაყვანილი თალები იყრდნობს. ფართო ნახევარწრიულ საკურთხეველში ქვით ნაგები ძველი ტრაპეზია, ხოლო საკურთხევლის კედელში გამოკვეთილ ორ ვიწრო და მაღალ ნიშას სამკვეთლოს და სადიაკვნეს დანიშნულება უნდა ჰქონოდა. სარკმლის ქვემოთ მღვდელმთავრის მაღალდასაჯდომელია, მის ორსავე მხარეს კი სამღვდლოთათვის განკუთვნილი ორი დასაჯდომი. ტაძრის იატაკი თლილი ქვის დიდი ფილებითაა მოპირკეთებული.

ეკლესიის ინტერიერი უხვად ნათდება სამ მხარეს (დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი) არსებული კარებიდან და რვა სარკმილიდან (მათგან ხუთი XIX საუკუნის მიშენებულ ნაწილშია გაჭრილი).

ეკლესიის ძველი ნაწილი მოხატულია. XIV-XV საუკუნეებში შესრულებული ფრესკები მოგვიანოდ, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ნაწილობრივ განუახლებიათ.

სორი ეკლესიის თავდაპირველი მოხატულობა, ე.წ. პალეოლოგოსთა ეპოქის ქართული მონომენტური ფერწერის ერთ-ერთ საგულისხმო ნიმუშად არის მიჩნეული. მხატვრობა საგრძნობლად დაზიანებულია:



ქტიტორთა გამოსახულებები

ჭერიდან ჩამონადენი წყლის შედეგად ფრესკების ნაწილი გადარეცხილი და გამოხუნებულია. მიუხედავად ამისა, მეტნაკლებად შესაძლებელია მოხატულობის საერთო სქემის აღდგენა, შედარებით უკეთ შემონახული სცენები და სახეები კი ფერწერის მხატვრული თავისებურებების დახასიათების საშუალებას იძლევა.

სორის ეკლესიის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამა, ისევე როგორც სქემა, ტრადიციულია, ამასთან სისადავითა და ლაკონურობით გამოირჩევა.

საკურთხეველში მხატვრობა ორ რეგისტრადაა განაწილებული. ქართულ მონუმენტურ ფერწერაში მრავალი ასწლეულის მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, კონქში განთავსებულია ვედრება – საყდარზე დაბრძანებულ მაცხოვარს შევრდომით წარუდგებიან ღვთისმშობელი და წმ. იოანე ნათლისმცემელი; მაცხოვრის საყდართან მრავალფრთედებია გამოსახული, მათ გვერდით – მთავარანგელოზები.

საკურთხევლის კედლებზე, კონქისაგან ფართო ორნამენტული ზოლით გამიჯნულ ვრცელ არეზე წარმოდგენილია წმინდა მსხვერპლის თავყვანისცემა – ეკლესიის მამათა და დიაკვანთა რიგი, რომლის შუაში, სარკმელს ქვემოთ წარმოდგენილია ფეშხუმზე დასვენებული ყრმა იესოს ფიგურა. სარკმლის თავზე სულიწმინდის გამოსახულებაა მტრედის სახით, სარკმლის ნირთხლებში კი მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები სამწერობლებით ხელში. საკურთხევლის პილასტრების კაპიტელებს ზემოთ მესვეტეთა გამოსახულებებია განთავსებული.

ის ღანიბად თინათვის მინოლოს

ზაფხულის პირველი თვეა. ჯვარშიევილების ოჯახში 22 ივნისს კარი ბედნიერებამ შეაღო, გოგონა გაჩნდა, მეორე შვილი, სახელად ნადირობის ქალღმერთის დალის სახელი დაარქვეს. ოჯახში უდიდესმა სიხარულმა დაისადგურა. მშობლები თავიანთ პირმშოს მოფერებასა და აღერსში ზრდიდნენ.

დალი დღითიდღე იზრდებოდა და მშვენიერდებოდა. მშობლებს მისი საზრიანობა მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ და გონებრივ საზრდოს გამუდმებით აწვდიდნენ. უამრავ საინტერესო ამბავს უამბობდნენ, წიგნებს უკითხავდნენ და ამით მის ინტელექტუალური მრწამსის ჩამოყალიბებაზე თავგამოდებით ზრუნავდნენ. წიგნი ჯვარშიევილების ოჯახში საპატიო ნივთი იყო, სწორედ ამიტომ მშობლებმა შვილებს უდიდესი და მდიდარი ბიბლიოთეკა შეუქმნეს. პატარა გოგონას წიგნის გარემოცვაში ცხოვრება მოსწონდა. წიგნი შეიყვარა და მისი სურნელებით გაჯერებული კითხულობდა ზღაპრებს, მოთხრობებს, შემდეგ მშობლებს უამბობდა და წაკითხულის შესახებ მსჯელობდა. ცელქი, მოუსვენარი პატარა დალი ბავშვობიდანვე განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩეოდა, ნიჭი, დიდ-ბუნებოვნება, კეთილი გული და ერთგულება ოჯახიდან დაწყება, რაც მისმა პიროვნულმა მემ მეტად შეითვისა და დღეს დალი ინტელექტუალი, სასურველი მეგობარი და ღირსეული ქალია.

დალიმ ფართო მისწრაფების მიუხედავად ტექნიკური განათლება აირჩია. პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და დღეს თავის ცოდნას პოლიგრაფიულ სფეროში ავლენს.

ჰყავს ძმა, გიორგი ჯვარშიევილი. და-ძმანს სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა დედ-მამამ შთაუწერეს. დღეს, მშობლების გარეშე დარჩენილნი ერთმანეთს იფიცებენ და ერთმანეთის ცხოვრებით ცხოვრობენ.

დალის პირად ცხოვრებაშიც გაუმართლა, ჰყავს მეუღლე დავით კიკოლაშვილი, რომელიც შესაშური ნიჭით და უნარით გამოირჩევა. წერს და მეტყველებს უნაკლოდ, უყვარს მოგზაურობა, გამომდინარე იქიდან, რომ კიდევ უფრო ფართოდ შეისწავლოს ქვეყნის ეროვნული საგანძური, თითქმის ფეხით აქვს შემოვლილი საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტერი, სიწმინდეები, აღწერს თითოეულს და ჭმნის მატყანეს. დავითი ნახევრად რაჭველია, უყვარს რაჭა და ეთაყვანება რაჭველებს.



იცის რაჭული წეს-ჩვეულება და ტრადიციები. აი, ასეთ გარემოში ცხოვრობს ჩვენი მინიატურის მთავარი გმირი, დალი ჯვარშიევილი, რომელიც 22 ივნისს იუბილარია.

ვულოცავთ ქალბატონ დალის კიდევ ერთ მშვენიერ ზაფხულს, ვუსურვებთ ბედნიერებას, მშვიდ, წარმატებულ ცხოვრებას.


თიბათვის პირმშო, ჩვენი დალი ღირსეული ქალი და საუკეთესო მეგობარია. მრავალჟამიერი იყოს შენთვის, ჩვენო დალი!

რედაქტორი.

„დიდება ბრძანე“

იქებში

ღებს წარსულის მძიმე დღეები ახსოვს. გარეშე მტრების წინააღმდეგ ხმაღმართული ბრძოლა და თავდამსხმელი მოგერიება. მათ შორის უმძიმესი მაცხოვრის ჯვრის ეკლესიიდან სვანების მიერ გატაცება და ამის გამო სოფელში დიდი გლოვა და მწუხარება. ხალხური გადმოცემით, „სოფლის მარჩენალის“ ჯვრის საძებრად წასვლა, მაგრამ ეს ვერავის გაუბედავს. იმხანად, ჭიორელ მონადირეს ივანე ბახთაძეს, დათვზე ნადირობის დროს, შემთხვევით თოფის გასროლით შვილი შემოკვდომია, ამ ცოდვის გამოსასყიდად გადაუწყვეტია მაცხოვრის ჯვრის საძებრად წასვლა.



სოფელი გონა, სპარტაკ რეზვიაშვილი „ქვაცხურას“ „ფრთის“ ქვეშ.

წასვლისას ბახთაძეს ხალხისთვის დაუბარებია, ერთი კვირა მელოდეთ, თუ ამ ხნის განმავლობაში არ გამოვჩნდები, დაღუპულად ჩამთვალეთ და მიგლოვეთო. მართლაც, მისი წასვლიდან გასულა ერთი კვირა, მაგრამ ბახთაძე არსად ჩანდა. ხალხს შეუსრულებია მისი დანაპირები და გლოვა დაუწყია. დაუურწყებიათ (სახსნილოს არ ჭამდნენ), სამი დღით გლოვა და მარხვა გამოუცხადებიათ.

თქმულება ივანე ბახთაძის შესახებ ამბობს: როცა ის სვანეთში მისულა, იქაურ ეკლესიაში

წირვის დროს ღების მაცხოვრის ჯვარი უცვნია, მაგრამ მისი წამოღება იმხანად ვერ მოუხერხებია. დაღამებას დალოდებია. ღამის წყვდიადში კარჩაკეტილს ეკლესიიდან გამოსვლა და იქიდან ჯვარის გამოტანა უფიქრია. მაგრამ ამაოდ, კარი ვერ გაუღია. ეკლესიის სარკმლიდან გადმოსვლა უფიქრია. ვერც ამ ხერხმა გაამართლა. ამის შემდეგ, ყოვლისშემძლე ძალის იმედით, ლოცვით უთქვამს: „მაცხოვარო ცხოველო, იდრიკე-თავი, სარკმლიდან უვნებლად გამოსულან და ღებისკენ მიმავალ გზას დასდგომიან. მდევართა შიშით დღე იმალებოდნენ, ღამე კი მგზავრობდნენ. ამიტომ დაგვიანებია ბახთაძეს ღებში დათქმულ დროზე მისვლა. ორშაბათ ღამეს წამოსული ოთხშაბათს დილით, მამლის ყივილისას მისულა ღებში და „ციხიკარის“ შემადლებული ადგილიდან დაუძახნია: სოფელო, გეყურებოდეს, დიდება ბრძანეთ ღმერთისა, მაცხოვარი მოვაბრძანე!

ამ ხმაზე ხალხი აშლილა, მაცხოვრის ეკლესიის ეზოში თავი მოუყრია, გაუმართავთ ღბინი, წირვა-ლოცვა და სიმღერა გალობა უთქვამთ: „დიდება ბრძანე“, აუნთიათ კოცონი. ასე გამოუხატავთ დიდი სიხარული დაკარგული მაცხოვრის ხატის ღებში მშვიდობიანად დაბრუნების გამო. ასე დამკვიდრებულა საზეიმო დღეობა „დიდება ბრძანე“, რომელსაც მთის რაჭველები ყოველ წელიწადს თებერვალში ხუთშაბათობით მართავდნენ. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება.

ს. მაკალთია წიგნში: „მთის რაჭა“, აღწერს რა აღნიშნულ თქმულებას, იქვე დასძენს, რომ მაცხოვრის დიდი ჯვარი მას იქ ყოფნის დროს 1927-1928 წლებში ღების მაცხოვრის ეკლესიაში თვითონ უნახავს და მამუკო ლობჯანიძის ხელში ჯვარის ფოტოც გადაუღია. ეს იმის დასტურია, რომ ხსენებული საეკლესიო განძი იმ ხანად ჯერ კიდევ ეკლესიაში იყო მორჩმუნეთა გულის გასახარად.

თებერვლის ყოველი წლის ყველიერის კვირაში იმართებოდა მაცხოვრობა, თანამდევრი რიტუალით „დიდება ბრძანე“, სამი დღე მარხულობდნენ, მეოთხე დღე გახსნილდებოდა.

ტრადიციები

მაცხოვრის მარხვის შერევა არ შეიძლებოდა, ვინც შეურევს მაცხოვრის მარხვას, ის დაიჯორჯებაო (დაიგრიხებაო), ამბობდნენ მთის რაჭველები. სხვაგან გათხოვილ ქალიშვილებსაც, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ყველგან უნდა ემარხულათ, მაცხოვარს ღამეს უთევდნენ, საკლავს უკლავდნენ, ფეხშიშველი მიდიოდნენ სალოცავში, სავედრებელს ლოცვით წარმოსთქვამდნენ: „მაცხოვარო ცხოველო, გვინინამძღვრე, დაგვიფარე ავი სულებისგან. საკლავს შემოგწირავთ, ფეხშიშველი მოვალთ, შემოგფიცავთ, რომ ჩვენმა ძემ და მომავალმა არ შეურიოს მაცხოვრის მარხვა“.

ხუთშაბათს გახსნილდებოდა, აცხოვდნენ რიტუალურ ქადას „არვარგიას“, რომელსაც მხოლოდ უფროსი დედაკაცები მიირთმევდნენ. გოგონებს უკრძალავდნენ მის ჭამას, ეუბნებოდნენ: „არ ვარგაო“, ამიტომ ეწოდა ამ ქადას „არვარგია“.

„დიდება ბრძანეს“ სარიტუალო წეს-ჩვეულება ასეთი იყო: თებერვალში, ოთხშაბათ საღამოს, სოფლის 10-15 ახალგაზრდა (ვაჟები) შეიკრიბებოდნენ სათათბიროდ, რომ ხუთშაბათ დილით სოფლისთვის მიელოცათ მაცხოვრის „დიდება ბრძანე“.

ვაჟთა გუნდი სოფელში შეარჩევდა კარგ მომღერალს, რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების მცოდნე მამაკაცებს, გუნდის მოხუც მეთაურს,

დანიშნავდნენ საღვთო შესანიშნავების ამკრეფს და გუნდიდან ერთ-ერთს დაავალდებდნენ ემცნო სოფლისთვის „დიდება ბრძანეს“ დღეობის შესახებ. მახარობელი იმავე დღეს ავიდოდა სოფლის მახლობელ ყველაზე ამაღლებულ ადგილზე და გადასცახებდა:

სოფელო, გეყურებოდეს,
ხვალ დიდება ბრძანეა...

ეს გამაფრთხილებელი ძახილი იყო, რომ მოსახლეობას შეეტყო „დიდება ბრძანეს“ დღეობის შესახებ, ამ ძახილის შემდეგ სოფელი იწყებდა მზადებას „დიდება ბრძანეს“ ღირსეულად შესახვედრად. მეორე დღეს, ხუთშაბათს დილით იწყებდა „დიდება ბრძანეს“ სიმღერა-გალობით სოფლის კარდაკარ ჩამოსვლას. ეს უკვე იყო არა სამგლოვიარო ხმიანი, არამედ მაცხოვრის ჯვრის ღებში მშვიდობით დაბრუნებისადმი მიძღვნილი სასიხარულო სიმღერა, გალობა, თანმდევი სალხინო რიტუალებით.

„დიდება ბრძანე“ სამხმიანი სიმღერა-გალობაა. მას მღერის მამაკაცთა გუნდი, დედაკაცები მასში არ მონაწილეობენ. „დიდება ბრძანეს“ გუნდური სიმღერა-გალობის მუსიკალურ ტექსტს ახასიათებს უაღრესად მღერადი, ამაღლებული ჰიმნური ხელოვნება, რომელიც მთელ სოფელში გაისმის. მგალობლები ოჯახში მისვლისას დიდი პატივისცემით სარგებლობენ, რადგან ხალხის რწმენით კარზე „დიდება ბრძანეს“ დაძახება და ოჯახის სიმღერა-გალობით დალოცვა დიდი ბედნიერების მომასწავლებელია, ამიტომ მგალობლები სოფელში არავის ტოვებდნენ დაულოცავს, რადგან ეს ოჯახის დიდი შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება იქნებოდა, ამას კი ყველა ერიდებოდა.

საინტერესოა „დიდება ბრძანე“-ს სიმღერა-გალობისა და მისი თანმდევი რიტუალების შესრულების წეს-ჩვეულება, სიმღერის ტექსტი და მუსიკა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისე, როგორც „კრიალეისოსა“ და „სარალეს“ დროს, ამჯერადაც სასიმღერო სიტყვების კრიალოსანის მძივებივით ჩამოთვლა ხდება ოღონდ არა სამგლოვიარო ხმებით, არამედ გამარჯვებულთა საზეიმო სიმღერის ჰიმნური შეძახილებით. გუნდის წევრები ემორჩილებიან მეთაურ ბერიკაცს. ოჯახის კარზე მისვლისას იგი პირველი იწყებს სიმღერას, მერე მთელი გუნდი მასთან ერთად დასცახებს და სიმღერა-გალობით ჩამოთვლის ღმერთის სადიდებელ წმინდა სალოცავების სათაყვანებელ სიტყვებს, რომელიც მოწოდებასავით გაისმის:



მაცხოვრის ჯვარი უჭირავს მოხუც „ბაბუას“ მამუკო ლონბჯანიძეს.

დიდება ბრძანე
ღმერთისა,
მაცხოვრისა,
წმ. გიორგისა,
ჯვარცმისა,
ზედქალაქისა,
თავარანგელოზისა,
კვირაცხოვლისა,
ყოველი ჯვარისა,
და ხატისა“.

გუნდი, რომ სიმღერა-გალობას დაამთავრებდა, მეთაური ბერიკაცი ოჯახის დასალოც სიტყვებს შესძახებდა: „მაცხოვარო ცხოველო, დალოცე ეს ოჯახი!“ გუნდი სამჯერ დასძახებდა: „დალოცოს, დალოცოს, დალოცოს!“ ამით დიდად კმაყოფილი და ნასიამოვნები ოჯახის უფროსი გამოუტანდა მათ ღვინოს, პურს, ყველს, ლორს, ხილულს და სხვა რისი შესაძლებლობაც კი ოჯახს გააჩნდა და კმაყოფილი გაისტუმრებდა მგალობელ გუნდს. ვაჟთა გუნდი ასე სიმღერით რომ ჩამოვივლიდა სოფელს კარდაკარ, შემდეგ მოგროვილ სანოვავეს წინასწარ სალხინოდ შერჩეულ ბინაზე მიიტანდნენ და ქეიფს გამართავდნენ, როგორც ვხედავთ, „დიდება ბრძანეს“ ტექსტის მიხედვით, ხალხი

მიმართავს არა რომელიმე წარმართულ ღვთაებას, არამედ გარკვეულად ქრისტიანულ წმინდანებს: წმ. გიორგის, მთავარანგელოზს, მაცხოვარს, ჯვარცმას და სხვა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სიმღერის ტექსტმა და მასთან დაკავშირებულმა რიტუალებმა განიცადეს ტრანსფორმირება ქრისტიანული რელიგიის მიღებასთან დაკავშირებით, გასაგები ხდება, რომ ასე როგორც ხალხის რწმენაში, წმინდა გიორგიმ შეცვალა მთვარის ღმერთი (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი-ერის ისტორია ტ. I ტფილისი 1928 წ. 55 და სას. ნაშრ. თბილისი ტ. I 1960 გვ. 53.)

ნათლად სჩანს, რომ „დიდება ბრძანე“ და მასთან დაკავშირებული რიტუალები უფრო ადრინდელი ამბავი უნდა იყოს, ვიდრე თქმულება სვანების მიერ მაცხოვრის ჯვრის მოტაცებაზე.

მორწმუნე მთიელები ეკლესიური წმინდა ცხოვრებით, ყოვლისშემძლე ღმერთის სადიდებელი ლოცვებით, სიმღერა-გალობით და მათი თანამდევრი რიტუალების შესრულებით, დიდი მხნეობით ატარებდნენ გაჭირვებულ წუთისოფელს. ასე გრძელდებოდა საუკუნეები.

მწერალი, ეთნოგრაფი
სპარტაკ რეხვიაშვილი

ჩემი ოჯახის მატიანე

ჩვენი წინაპარი მახუნა ყოფილა, აქედან წარმომდგარა ჩვენი საგვარეულო კომლური სახელი „მახუნენთი“, რომელიც შემდეგში იმის გამო, რომ მახუნენთ სადმეღელი პაპუნაშვილებისგან ღვინო ბლომად მოსდიოდათ სტუმრებს, თურმე მას ხრიკითი ასმევდნენ. ამიტომ გვარის სახელწოდება „ხრიკენთად“ გადაუკეთებიათ.

ონის მახრაში შემავალი, ამჟამად ონის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭიორა ჩვენი საგვარეულოს თავდაპირველი საცხოვრებელი ყოფილა. სეხნოენთ უბანში, კაცენ იასონას სახლის წინ, ორსართულიანი ქვიტკირის სახლი მდგარა, მის ქვედა სართულზე ბოსელი ყოფილა, მეორე სართულზე კი ჭურჭრუტანიანი კერია, რომელიც ხალხის სადგომად ყოფილა განკუთვნილი.

ამ სახლიდან გამრავლებულან მთელი დღევანდელი ხრიკენთ საგვარეულო, რომლებიც შემდეგ სხვადასხვა ადგილას გაფანტულან.

ამ სახლში 1890წ. დაბადებულა მამაჩემის, მწერალ სპარტაკ რეხვიაშვილის მამა ილია ნანოს

(ივანე) ძე, აქვე გაუტარებია მას სიყმაწვილის ბედნიერი წლები. სამწუხაროდ, ამჟამად დედასახლის ნანგრევებიც კი აღარ არის, გამქრალა მისი ყოველი ნაშთი.

მამაჩემის ბაბუას თავი რქმევია, ბებიას თათია, მათ ოთხი შვილი ჰყოლიათ: ნანო, ყანი, ორდანი და გიგო.

დაჯია, მამაჩემის ბებუის დედა მჭედლიანცა, რომ დაქვრივებულა ყალენცა გათხოვილა და თან ნაუყვანია მამაჩემის ბებია ბარბარე, ასე რომ ბარბარე მჭედლიანთ ქალიშვილია. ყალენცა დაჯიას შეეძინა: თედუა, ოქრუა, მათე. ესენი მამაჩემის ბებუის ბარბარეს დედით ძმები არიან. ბარბარე გათხოვილა ხრიკენთ ნანოზე. ბარბარეს ძმების გარდა ორი და ნენო და თამო ჰყოლია.

ბარბარე მეტად გულისხმიერი და შრომისმოყვარე ადამიანი ყოფილა. ჰყავდა სამი შვილი: გიორგი, ილია და მატრონე. ილიას, მამაჩემის მამას, ცოლად შეურთავს ტბეთელი ქალი ვალენტინა ემნაძე, რომელიც სამაგალითო ქალი

ოჯახი

მატრონე რეხვიაშვილი
(ხრიკენტი) ბარბარეს ქალიშვილი

სპარტაკ რეხვიაშვილის
ბებია ბარბარე

ვალენტინა ემნაძე,
ბარბარეს რძალი



იყო, მას ხრიკენთების სასახელო რძალს ეძახდნენ. ბებიაჩემი ვალენტინა 5 წლის ასაკიდან მახსოვს როგორ მომისვამდა გვერდით და დიდი

სიყვარულით მიამბობდა საყვარელი ქმრის და მისი კეთილშობილი დედის და დის შესახებ.

ეს იყო ქართულ ტრადიციებზე, განსაკუ-

თრებით, ქალის პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები. ბებია ცდილობდა შვილიშვილებისათვის უხსოვარი დროიდან დანერგილი ადათ-წესები, უფროს-უმცროსობა, ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული ესწავლებინა.

ბებია ხშირად გვახსენებდა, ღირსეული დედები უნდა იყოთ, რადგან ძველ დროში რაჭაში, როდესაც ქალს ათხოვებდნენ აუცილებლად უნდა ეკითხათ, როგორი დედის შვილი იყო.

მისი სიტყვები, მისი დარჩენილი სანთელივით გვინათებს ცხოვრების რთულ და საინტერესო გზას.

**რუსუდან (მანო)
რახვიაშვილი**
ისტორიკოსი



ბარბარეს შვილთაშვილები და მათი შვილები:
მარიამ, ქეთევან და რუსუდან რეხვიაშვილები
ქალიშვილებთან ერთად

იმ დღეთა მემაცვიანო

ისევ მოზრუნდა წელიწდი და ისევ მოვიდა 9 მაისი; ისევ აყვავდა ტიტა და იასამანი; ისევ იცინის ღრუბლის ქულებიდან იშვიათად ნაჭყეტი მზე; ისევ ვფურცლავთ გაყვითლებულ სამკუთხა ბარათებს, თვალბზე ცრემლმორეულები ისევ ვკითხულობთ ფანქრით ნაჩქარევად ნაწერ გაფერმკრთალებულ სტრიქონებს და მახსენდება პოეტის ნატყვამი: „ხელი დაღუპება, ხოლო ხელით რჩება ნაწერი...“ ამ ბარათების ავტორები დიდი ხანია მარადისობის ბინადარი არიან. სად განიავდნენ, სად იპოვეს სამუდამო განსასვენებელი, არავინ იცის.

ველევის თემიდან 152 ვაჟკაცის სიცოცხლე შეინირა ფაშიზმთან ბრძოლამ. ეს ხომ ერთი სოფელია! დაბრუნებულთაგან მხოლოდ ნინო სირაძე- მაცაბერიძისა შემოგვრჩა. მასზე უკეთ ვერავინ შეიცნობს ამ დღის არსს. მასზე უკეთ ვერავინ შეძლებს მეორე მსოფლიო ომის თემაზე გაკვეთილის ჩატარებას. ხშირად ვინვევდით სკოლაში ომის სხვა მონაწილეებთან ერთად. გულდამძიმებულები და თვალბანყლიანებულნი, მაგრამ ვალმოხდილის სიამაყით გვესაუბრებოდნენ იმ ავად მოსაგონარი დღეების შესახებ, გულისტკივილით იგონებდნენ სიკვდილის მანქანის მსხვერპლ თანასოფელელ შესანიშნავ ვაჟკაცებს. ახლა ქალბატონ ნინოს ასაკი ნამოენია

96 წლისაა და ბოლო დროს ვეღარ შეძლო სკოლაში მოსვლა, თან მოგონების გამზიარებელი რომ აღარავინ შემორჩა, ისიც ახვეინებდა უკან. სამაგიეროდ გასულ წელს ჩვენ, მასწავლებლები და მოსწავლეები, ვენვეით შინ და მივულოცეთ გამარჯვების დღე, მაგრამ ისე შენუხდა, როგორც განცდებით, ისე- გამასპინძლებით, წელს ვეღარ გავბედეთ მისვლა. მხოლოდ შორიდან მოვიკითხეთ და მე-9 და მე-4 კლასელების ოლია და სალომე ვაჩაძეების საშუალებით გადავეცით ჩვენი მილოცვა. მას უამრავი ჯილდო და საინტერესო მოგონება აქვს. ჩვენ ვცდილობთ ჩავინეროთ და შთამომავლობას შემოვუნახოთ იმ ქარიშხლიანი



დღეების ველეველი მემაცვიანის მოგონებები.

ქალბატონი ნინო 18 წლის, სამედიცინო სასწავლებლის ახალკურსდამთავრებული ომის დაწყებიდან მე-5 დღეს, 27 ივნისს, გაინვიეს. ონიდან ჩამოვლილ ნაწილს შეუერთეს ამბროლაურელი მედიცინის მუშაკებთან ერთად, ხელმძღვანელი ონელი საშა ბაქრაძე იყო. მათ ქუთაისის პედაგოგიურ



ინსტიტუტში სასწრაფოდ მოაწყვეს ჰოსპიტალი. პირველ ხანებში ახალგაზრდებს ძალიან უჭირდათ დაჭრლ-დასახიჩრებულებთან ურთიერთობა, მათ ნერვიულ სტრესთან გამკლავება, მაგრამ „თურმე გასაჭირში მყოფის თანადგომის სურვილი ყველაფერს აძლებინებს ადამიანს“- იგონებს თვალცრემლიანი. მის ჯილდოებს მკერდი ვერ იტევს, მაგრამ ყველაზე გამორჩეულად კავკასიის დაცვისათვის მიღებულს მიიჩნევს.

ქალბატონი ნინო ვალმოხდილია როგორც სამშობლოს, ისე ოჯახის წინაშე: აღზარდა 4 შვილი, გარს ახვევია შვილიშვილები და შვილთაშვილები, მხოლოდ ოთოს მოულოდნელი დაღუპვა უწამლავს სიბერეს. სანამ შეეძლო ემსახურებოდა სოფელს. იყო სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელი, დაიმსახურა ხალხის პატივცემა, მაგრამ დრო არავის დაუბერებია.

ღმერთმა ყველა ჩემი თვალთნახი დაიფაროს იმ საშინელებისგან, რაც ჩემმა თაობამ გადაიტანა. იცოდეთ მშვიდობის ფასი და გაუფრთხილდით მას!- ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ქალბატონი ნინო და ჭიისკარამდე გამოგვეყვა. სიხარულით გულაჩუყებულს ეძნელებოდა ჩვენთან დაშორება.

იცვლება დრო, შეხედულებები, ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ უცვლელია და შეუფასებელი სამშობლოსათვის გაღებული სიცოცხლის ღირებულება, მშვიდობის ფასი და სამშობლოს სიყვარული ამ ღვანლმოსილი ადამიანების მაგალითზე უნდა ვისწავლოთ.

ჯანმრთელობასა და მხნეობას ვუსურვებთ იმ ქარიშხლიან დღეთა მემაცვიანეს.

იკატერინე ჭიჭინაძე

აგრაფინა ჯაფარიძის ღამაზი და დრამატული უხივრება



აგრაფინა ჯაფარიძის განქორწინება თავად ტარიელ დადიანთან და ქორწინება ოლდენბურგის ჰერცოგის ვაჟზე პრინც კონსტანტინე პეტრეს ძეზე, 1882 წელს ერთობ გახმაურებული ამბავი იყო. ამ საუკუნის დამდეგიდან კვლავ გაცოცხლდა აგრაფინას სახელი. ეს თემა ქართული თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმის შენობას დაუკავშირდა და აგრაფინას შესახებ ბევრი ტყუილი და მართალი დაინერა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

მუზეუმის შენობის ე.წ. სიყვარულის ოთახში ის, ქორწინებამდე (ანუ 1882 წლის შემოდგომამდე), თურმე მალულად ხვდებოდა პრინც ოლდენბურგს. ეს ეპიზოდი ინტერვიუდან ინტერვიუში და სტატიიდან სტატიაში გადადის და აგრაფინა ჯაფარიძეს, ამ ღირსეული ქალბატონის მორალურ სახეს, რბილად რომ ვთქვათ, ჩრდილს აყენებს. რატომღაც არ აქცევენ ყურადღებას იმას, რომ ამ შენობის აგების უფლება ნოვოსადოვასს ქუჩაზე, არქიტექტორ პაულ შტერნის პროექტით, მინის ნაკვეთის მფლობელმა ემილია ტიტელმა მხოლოდ 1896 წლის 27 ივნისს მიღო ქალაქის მართველობიდან. (საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 192, საქმე 4647). ეს ადგილი მისი საკუთრება იყო 1897 წელსაც. ამ დროს აგრაფინა უკვე 6 შვილის დედა იყო. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, სად ხვდებოდნენ ერთმანეთს პრინცი და აგრაფინა?

სხვა სენსაციური აღმოჩენაც უნდა გავიხსენო: სწორედ ამ შენობაში გაგუდეს ან ჩამოახრჩეს თურმე უკვე ფსიქიურად დაავადებული (ამას ამბობენ კარგარეთელის ქუჩის მცხოვრებნიო!) აგრაფინა ბოლშევიკებმა.

მერე რა, რომ ასე არ მომხდარა, მუზეუმის შენობაში ხომ მოჩვენება დადის, რასაც მუზეუმის თანამშრომლები ადასტურებენ. ის თურმე აგრაფინას მოჩვენებაა. ხოლო ბიოენერგოკორექტორი კი სერიოზულად გვიმტკიცებს, რომ ჩამოხრჩობილ-გაგუდული აგრაფინას სული ნეგატიური ენერგიით იქნებოდა დამძიმებული და გზას ვერ გაიგნებდა საიქიოსკენ! სწორედ ამიტომ დადის ის მუზეუმის დერეფნებში. ანდა ის რად ღირს, რომ მიხაი ზიჩმა, რომელიც თურმე 1866 (და არა 1881 წელს) წელს ესტუმრა საქართველოს და “ვეფხისტყაოსნის” ცოცხალი სურათები დადგა, ნესტან-დარეჯანის პროტოტიპად გამოიყენა აგრაფინა, რომელიც იმ დროს 11 წლისა იყო. ან ის, რომ პრინცმა ოლდენბურგმა თავად ტარიელ დადიანს, აგრაფინასთან გატარებული ერთი ღამის ნაცვლად, მილიონი ოქროს თუმანი შესთავაზა.

თუ უფიქრიათ რომ ასეთ შეურაცხყოფას პრინცი ოლდენბურგი ტარიელ დადიანს კი არა, მდაბიოსაც არ აკადრებდა? გაუაზრებიათ კი, რომ ეს თანხა 10 მილიონი ოქროს მანეთი, იმ დროისთვის ფანტასტიური თანხაა?

პირველად, 10 წლის ასაკში მათგან გავიგონე “აგრაფინა კისკისაო, დადიანმა პრინცს მისცაო”, მაგრამ მაშინ ეს ამბავი მაინცადამაინც არ მალეღვებდა და დღეს თუ კალამი ხელში ავიღე, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთი მცირეთავანი ვარ საქართველოში, რომელსაც შეუძლია ამ ქალბატონისა, და იმავდროულად, ნათესავის ინტერესების დაცვა.

აგრაფინა ჯაფარიძე 1866 წლის 26 ოქტომბერს დაიბადა. ის თავად ჯაფარიძეთა იმ შტოს ეკუთვნოდა, რომელიც ზემო რაჭაში სოფელ ონჭევიში სახლობდა. აგრაფინას დედ-მამას კონსტანტინეს და მელანიას (ისიც ჯაფარიძე იყო) კიდევ ერთი ქალიშვილი ჰყავდათ. კონსტანტინე 1860 წელს 26 წლისა გარდაიცვალა და მელანია ქალიშვილებთან ერთად გადასახლდა ქუთაისში. აქ ის 1864 ხლის 2 ნოემბერს მეორედ გათხოვდა დაქვრივებულ აზნაურ გიორგი იოსელიანზე. აგრაფინა ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში მიაბარეს, სადაც, სხვათა შორის, სწავლობდა ნიკო ნიკოლაძის დასთან, ოლიმპიადასთან ერთად.

21 წლის აგრაფინა გათხოვდა თავად ტარიელ დადიანზე, რომელსაც პირველი ცოლი სოფიო შარვაშიძე გარდაცვლოდა და 4 შვილს ზრდიდა. მარი ტეგიული (რომელსაც ეკუთვნის ერთ-ერთი საუკეთესო ნარკვევი პრინც ოლდენბურგისა და აგრაფინა ჯაფარიძის შესახებ) წერს, რომ აგრაფინას ტარიელთან 2 ქალიშვილი ეყოლა, მაგრამ მე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი დავადასტურე, მენიკი დადიანი (დ.1882 წ.), მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

აგრაფინას ბედი ძირეულად შეიცვალა 80-იანი წლების დამდეგს. ამ დროს ქუთაისში დაბანაკდა ყუბანის კაზაკ ცხენოსანთა პოლკი ფლიგელ-ადიუტანტის პრინც კონსტანტინე ოლდენბურგის მეთაურობით (1881-1887 წწ.), რომელმაც მანამდე მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში და მოგვიანებით გენერალიც გახდა. 30 წლისა იყო ოლდენბურგთა სახელოვანი გვარი ს ნაშიერი, რუსეთის იმპერატორის ახლო ნათესავი, დარდიმანდი, ხელგამლილი და თავზეხელაღებული კაცი. ეს თვისებები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ იმპერატორს დიდი ხნით მოეშორებინა ის იმპერიის დედაქალაქიდან და კავკასიაში მიეკვლინებინა.

ქუთაისში მის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე მოიხიბლა აგრაფინა ჯაფარიძით. მაგრამ აგრაფინა ქმრიანი ქალი იყო. ამბობენ, რომ აგრაფინას მიმართ ოლდენბურგის ყურადღებით გაბეზრებულმა თავადმა ტარიელ დადიანმა ხმალს ივლო ხელი, მაგრამ კეთილმოსურნეებმა გააჩერეს – ძვირად დაგიჯდებო. იმასაც ამბობენ, თითქოსდა ნარდში, ანდა ბანქოში წააგო ფული ტარიელმა და, ვალის გადახდის სანაცვლოდ, ოლდენბურგმა აგრაფინასთან განშორება მოსთხოვა.

სხვა ვერსიით, დადიანი დიდხანს უარზე იყო, ვიდრე თავის თავზე არ აიღო განქორწინებისთვის საჭირო ბრალი და სათანადო კომპენსაცია მიიღო. მაგრამ ჭეშმარიტება მაშინაც კი არავინ იცოდა, ეს ყველაფერი ჭორები იყო და თანამედროვენიც ამ ჭორებს მოგვითხრობდნენ, ერთი დეტალის – მილიონი ოქროს თუმნის გარდა.

დადიანი საბოლოოდ დათანხმდა, გაშორებოდა ცოლს. ახლად დაბადებული ქალიშვილი მენიკი დადიანებმა წაიყვანეს და მერე, დედასთან მისი ურთიერთობის შესახებ არაფერი ვიცი. ქუთაისელი კნიაჟნები მზად იყვნენ “ერთ კოვზ წყალში ჩაეხრჩოთ აგრაფინა” (ე. თავბერიძე), რომელმაც მათ იმელებს ცივი წყალი გადაასხა და გულისტკივილს მხოლოდ იმით იქარვებდნენ, რომ სალონებში გიტარაზე აკვნესებდნენ: “აგრაფინა კისკისაო, დადიანმა პრინცს მისცაო.”

პრინცმა ოლდენბურგმა და აგრაფინა ჯაფარიძემ 1882 წლის 20 ოქტომბერს დაინერეს ჯვარი. ქორწილი საკმაოდ ხალხმრავალი იყო. ამის შემდეგ 10 წელიწადში აგრაფინამ ოლდენბურგს 3 ქალიშვილი (ალექსანდრა, ეკატერინე და ნინა) და 3 ვაჟი (ნიკოლაი, ალექსი და პეტრე) აჩუქა. ბედნიერებას ისიც ვერ ჩრდილავდა, რომ დიდგვაროვან კონსტანტინე ოლდენბურგისთვის ქორწინება ქართველი ხელმოკლე თავადის ასულზე არათანასწორი, მორგანატული იყო. ამის გამო ჰერცოგმა მამამ ჩამოართვა შვილს იმის უფლება, რომ აგრაფინას და მისგან ნაშობ შვილებს ოლდენბურგის გვარი ეტარებინათ. ბაგრატიონთა გვარის წინამძღოლმა, აგრაფინას ნათლულმა, ან განსვენებულმა ნინო ბაგრატიონმა მამამ, რომ ჰერცოგმა აგრაფინას გვარად ჯერ შესთავაზა “ბოზ”, მაგრამ აგრაფინამ უარი განაცხადა, რადგანაც ქართულად ეს გვარი არასასურველ ასოციაციას იწვევდა და სხვა შეთავაზება – ფონ ზარნეკაუს გვარი (ზარნეკაუ, ან ცარნეკაუ იყო ადგილი ოლდენბურგთა სამფლობელოში) მიიღო. ისე კი, პრინცმა ოლდენბურგმა თავისი შვილების მომავალი აგრაფინას სიყვარულს ანაცვალა. მის შთამომავლებს სამუდამოდ გადაეკეტათ გზა ჰერცოგის ტახტისკენ. ამ ქორწინებით უკმაყოფილო დარჩა ნიკოლოზ II და რუსეთის საიმპერატორო კარი. მაგრამ, როცა პეტერბურგში კონსტანტინემ თავის მეუღლე წარუდგინა იმპერატორს, ნიკოლოზი აღფრთოვანებული დარჩა მისი მშვენიერებით.

ქორწინებამ შეცვალა კონსტანტინე ოლდენბურგი. ქუთაისში ბალახოვანის (ამჟამად წერეთლის) ქუჩაზე მან იყიდა დიდი ფართობი და გახსნა კონიაკისა და შამპანურის ქარხანა, გამოიწერა ფრანგი მეღვინეები და საქმე კარგად ააწყო. ქარხანა დიდძალ შამპანურსა და კონიაკს ამზადებდა საქსპორტოდ. ქუთაისში ცოლ-ქმარი 14 წელი ცხოვრობდა ოლდენბურგის მიერ აშენებულ

ორსართულიან ეზოიან სახლში ანგლისკაიას ქუჩაზე, რომელსაც, მის პატივსაცემად, ოლდენბურგის სახელი ეწოდა (ახლანდელი ტაბიძის ქუჩა, №20). ჩვენს დროში იქ ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსდა. იქვე ახლოს (№27) მან ააგო ადმინისტრაციული შენობაც, რომელშიც, ქუთაისის დატოვების შემდეგ, ჩერდებოდნენ ქუთაისის გუბერნატორები. მოგვიანებით იქ სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა დაიღო ბინა.

კონსტანტინე ოლდენბურგი მონაწილეობდა ფოთსა და ზუგდიდს შორის რკინიგზის გაყვანაში, გაგრის კეთილმოწყობაში, სადაც წამყვანი იყო მისი ძმა ალექსანდრე. მაგრამ კონსტანტინეს დამსახურება იმდენად დიდი იყო, რომ 1908 წლის 27 აპრილს მას ძეგლი დაუდგეს გაგრაში.

დაულალავი ქველმოქმედი იყო აგრაფინაც, რომელმაც ბევრ ახალგაზრდას გაუმართა ხელი, ესწავლათ საქართველოს ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა თავისი კუთხის – რაჭის შვილებისადმი. იყო ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე. აგრაფინა წერდა ქართულად და რუსულად. ფრანგული ცუდად იცოდა, რაც მას ნაკლად ჩათვალა რუსეთის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა გრაფმა ს. ვიტემ. მაგრამ აგრაფინა ამ ნაკლს თავისი კეთილშობილებითა და ქველმოქმედებით ავსებდა.

პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგი, ოჯახთან ერთად, ქუთაისს 1896 წლის 19 ოქტომბერს გამოემშვიდობა. მანამდე 11 და 16 ოქტომბერს ქალაქის თავადაზნაურობამ და ქუთაისის ინტელიგენციამ მას გამოსათხოვარი საღამოები გაუმართეს. ერთ მათგანზე აკაკი წერეთელიც გამოსულა შთამბეჭდავი სიტყვით.

ჩვენს პრესაში ისიც დაინერა, რომ აგრაფინა არ წაჰყვა ქმარს საქართველოდან და მაშინ ოლდენბურგმა შვილები წაიყვანა. ესეც მორიგი გაუგებრობაა. აგრაფინა თან ახლდა ქმარს პეტერბურგშიც და პარიზშიც. 1903 წელს თებერვალში მან მონაწილეობა მიიღო პეტერბურგში კოსტიუმიერებულ სააღდგომო წვეულებაში XVII ს-ის რუსი დიდებული ქალბატონის სამოსში. ამ წვეულების მონაწილეთა სურათები დაბეჭდილია. მათ შორის 48 წლის აგრაფინა სილამაზით აშკარად გამოირჩევა.

კონსტანტინე ოლდენბურგი საფრანგეთში 1906 წელს გარდაიცვალა და მისი ცხედარი პეტერბურგში დაკრძალეს. აგრაფინა ამის შემდეგ ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ინახულა პაპაჩემმა.

რა ბედი ეწია მათ? მისი უფროსი ქალიშვილი ალექსანდრა ცოლად გაჰყვა საფრანგეთში რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვაჟს გიორგის, რომელიც დედასთან, ეკატერინე დოლგორუკოვასთან ერთად საფრანგეთში ცხოვრობდა და სორბონა დაამთავრა. მათი ისტორიაც სვედიანია. ალექსანდრე II -ს ჰყავდა ცოლი, რომელთანაც ეყოლა მომავალი იმპერატორი ალექსანდრე III. მაგრამ დედოფალი ხშირად ავადმყოფობდა და იმპერატორმა შვება რიურიკების შთამომავალ ეკატერინა დოლგორუკოვასთან ჰპოვა. მასთან გაუჩნდა 2 ასული და 2 ვაჟი. დედოფლის გარდაცვალებიდან (1880 წ. მაისი) მცირე ხნის შემდეგ იმპერატორი მორგანატული ქორწინებით შეუღლდა საყვარელ ქალთან და მას, შვილებთან ერთად, უბოძა უგანათლებულესი თავადის

იურიევსკის გვარი. ისიც უნდოდა, რომ გიორგი ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა, მაგრამ 1881 წლის 13 მარტს ტერორისტთა მსხვერპლი შეიქნა. ეკატერინამ შვილებითურთ დატოვა პეტერბურგი და საფრანგეთში გადასახლდა. 1900 წლის 11 თებერვალს საფრანგეთში გადაიკვეთა აგრაფინას ასულის ზარნეკაუსა და გიორგი იურიევსკის ცხოვრების გზა. მათი შეუღლების ნაყოფი იყო ვაჟი ალექსანდრე, რომელიც 1900 წ. 21 დეკემბერს მოეწვინა ქვეყანას. მაგრამ ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. რუსი არისტოკრატის ლევ ნარიშკინის მცდელობამ და გულმოდგინებამ შედეგი გამოიღო. 1908 წელს ალექსანდრა გაეყარა ქმარს, რომელიც მოკლე ხანში აღესრულა (1913 წ.) და ნარიშკინის ცოლი გახდა. ალექსანდრა 1937 წლის 28 მაისს გარდაიცვალა პარიზში.

ერთი მხრივ, ალექსანდრე II-ისა და ეკატერინა დოლოგოროუკოვას და მეორე მხრივ, პრინც კონსტანტინე ოლდენბურგისა და აგრაფინა ჯაფარიძის შვილიშვილის შვილი ჰანს-გიორგი ალექსანდრეს ძე (დაიბადა 1961 წლის 8 დეკემბერს), რომელიც შვეიცარიაში ცხოვრობს, მონარქიის აღდგენის შემთხვევაში, რუსეთის ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი.

აგრაფინას სამი ვაჟიდან უფროსი – ნიკოლაი გარდაიცვალა 1976 წელს კამბო-ლე-ბენში, სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში. ორჯერ დაქორწინებულს შვილები არ დარჩა. სხვათა შორის, მისი პირველი ცოლი მარინა ფონ პისტოლკორსი გარეული იყო რასპუტინის მკვლელობაში. მეორე – 31 წლის ალექსი 1918 წლის 16 სექტემბერს ბოლშევიკებმა დახვრიტეს პეტროგრადში. შთამომავლობა არც მას დარჩენია. უმცროსი ვაჟი პეტრე 1914 წლის 24 ოქტომბერს პეტერბურგში დაქორწინდა თამარ შარვაშიძეზე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ძმისშვილის პროკოფი შარვაშიძის მომხიბლავ ასულზე, რომელიც დედით მხეიძე იყო. ისინი რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში ცხოვრობდნენ. თამარი და მისი და, სახელგანთქმული მერი სილამაზით იყვნენ გამორჩეულნი იმდროინდელ პარიზში და სახელი გაითქვეს, როგორც მოდელებმა. თამარი ახალგაზრდა გარდაიცვალა, 34 წლისა, 1931 წელს ლეისინში (შვეიცარია) და მის შვილებზე კონსტანტინესა (1916-1977) და ნინაზე (1919- ???) ზრუნვა მერი იკისრა. პეტრე ზარნეკაუმ შემდეგ იქორწინა ალექსანდრა ანენკოვაზე პარიზში. კონსტანტინეს შთამომავლებია ვაჟი პეტრე (დ. 1948 წ.) და შვილიშვილი ნიკოლაი (დ. 1968 წ.).

აგრაფინას ქალიშვილებიდან მეორე, მომხიბლავი, ცისფერთვალეა ეკატერინა, შინაურობაში თინა, დიდი ქველმოქმედი, ღვთისმოსავი და მედდა I მსოფლიო ომში, რევოლუციის შემდეგ კარგა ხანს პეტროგრადში ჩარჩა. ის სამჯერ იყო გათხოვილი და ჰყავდა ერთი ქალიშვილი – ტატიანა პირველ ქმართან, დიდი მთავრის კირილე ვლადიმერის ძის ადიუტანტთან ივან ფონ პლენთან. ეკატერინა ზარნეკაუ რომანოვების სახლთან დაკავშირებული უკანასკნელი ნარჩინებული ქალბატონი იყო, რომელიც პეტროგრადში რჩებოდა და ყველანაირად ეხმარებოდა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. ის ორჯერ, 1920 და 1927 წლებში დააპატიმრა ჩეკამ და თუმცა თავი დააღწია განსაცდელს, რუსეთში გაჩერება სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. პირველი ქმრის, ივან ფონ პლენის ფინანსური შემწეობით და მართლმადიდებელი მღვდლების დახმარებით მან 1929 წლის 16 აგვისტოს

დატოვა ლენინგრადი იმ საბაბით, რომ კავკასიაში მიემგზავრებოდა სამკურნალოდ. სინამდვილეში კი ეკატერინამ საიდუმლოდ გადალახა ფინეთის საზღვარი და საფრანგეთში ჩავიდა. პარიზში საბჭოთა აგენტურამ მალე გაარკვია, თუ როგორ შეძლო მან ეს და ჩეკა სასტიკად გაუსწორდა მის დამხმარებებს. ოცდაათზე მეტს, მათ შორის სასულიერო პირებსაც, გამოუტანეს უმაღლესი სასჯელი – დახვრეტა. სხვათა შორის, ამბობენ, რომ ეკატერინას გაქცევის ამბავი იცოდა მაქსიმ გორკიმ, რისთვისაც, თავისი მეუღლის ხელით, საიდუმლოს შენახვისთვის, ფული აიღო. ეკატერინა გარდაიცვალა პარიზში 1962 წლის 24 დეკემბერს, 78 წლისა. მისი ქალიშვილი ტატიანა 1930 წელს ცოლად გაჰყვა ნიკოლაი ელჩანინოვს და მათი შთამომავლები დღეს ცხოვრობენ საფრანგეთში; ის გარდაიცვალა დედაზე ადრე, 1960 წელს, 61 წლის ასაკში, ბრიუსელში. დასასრულ აღვნიშნავ, რომ ეკატერინა ზარნეკაუს გაქცევას საფრანგეთში მიეძღვნა თანამედროვე რუსი მწერლის ვ. ზორინის მოთხრობა “გაქცევა” (დევს ინტერნეტში), ხოლო მის მხარდაჭერებზე ჩეკას სისხლიან ანგარიშსწორებას მოგვითხრობს ბ. ანტონოვის “გრაფინია ე. კ. ზარნეკაუს საქმე” (“Невский архив”, 5, 2001).

აგრაფინას უმცროსი ქალიშვილი ნინა სულიერად იყო დაავადებული და კისლოვოდსკი მკურნალობდა. სწორედ ამის გამო აგრაფინამ არ დატოვა ქვეყანა და ქალიშვილს უვლიდა. ნინა გარდაიცვალა 1922 წელს და ჩვეულებრივ მიიჩნევენ, რომ აგრაფინაც იქ აღესრულა, მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. აგრაფინა ქუთაისში დაბრუნდა. ბოლშევიკებმა მას ჩამოართვეს მთელი ქონება და იძულებული გახდა ძმისშვილთან – გიორგი იოსელიანთან ეცხოვრა. ის გადაურჩა ჩეკას კლანჭებს, რომელსაც უმწეო ქალი აღარ აინტერესებდა.

ბებიაჩემის გადმოცემით, სიცოცხლის ბოლო წლებში აგრაფინა გაჭირვებაში ჩავარდა. შვილებისგან დახმარება არ, ან ვერ მოდიოდა და თავი ახლო ნათესავების დახმარებით გაჰქონდა. ნინას სიკვდილის შემდეგ მან კიდევ 4 წელი იცოცხლა და გარდაიცვალა 1926 წლის 18 ოქტომბერს, ქუთაისში წერეთლის 92-ში, ფილტვების შეშუპებით. განცხადება აგრაფინას გარდაცვალებაზე გააკეთა მისმა ძმისშვილმა გიორგი იოსელიანმა. დაკრძალვის დროს მის კუბოს რამდენიმე ახლობელი ჯაფარიძეც მიჰყვებოდა და მისი საფლავი საძიებელია ქუთაისის ძველ, უკვე გაუქმებულ რომელიმე სასაფლაოზე.

აგრაფინას ცხოვრებას არ სჭირდება არც შელამაზება და არც დრამატიზება. ის ლამაზიც იყო და დრამატულიც. ხელმოკლე თავადის ასული, ტარიელ დადიანის მეუღლე, პრინც ოლდენბურგის ცოლი გახდა. მისი სახელი შესულია ევროპის სამეფოების დინასტიების სიებში. მან ნახა დიდებული და უზრუნველი ცხოვრება პეტერბურგში, რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებსა და საფრანგეთში. აღზარდა კარგი შვილები. ბოლშევიკურ წნეხში მოქცეულმა ნახა გაჭირვებაც, განიცადა შვილების გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი და აღესრულა ქუთაისში.

დღევანდელი გადასახედიდან თითქოსდა წამიერი იყო მისი ცხოვრება იმ საოცარ დროში, მრავალი აღმასვლითა და დაღმა დაშვებით, სიხარულითა და ტკივილებით.

მონა ჯაფარიძე



სრულიად საქართველოს მეცნობს

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში (ურავი, ბოსტანა, ჭყვიში) ახლად აშენებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები გახსნა. გახსნას ესწრებოდა სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი პარმენ მარგველიძე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი მაღხაზ ლომთაძე.

საბავშვო ბაღების მშენებლობა 2014 წლის ზაფხულში დაიწყო. მოეწყო ოთახები, სამზარეულო და სველი წერტილები, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა, ბაღები სრულად აღიჭურვა საჭირო ინვენტარითა და ავეჯით. აღსანიშნავია, რომ სოფელ ჭყვიში საბავშვო ბაღი ამ დრომდე არ არსებობდა.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია. 2014 წელს რეგიონის მასშტაბით 4 ახალი ბაღი აშენდა და 25 რეაბილიტირდა.

გუბერნატორმა პარმენ მარგველიძემ და მუნიციპალიტეტის გამგებელმა მაღხაზ ლომთაძემ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომლებთან ერთად, საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობაშიც მიიღეს მონაწილეობა და მარადმწვანე ხის ნერგები დარგეს.



ურავის ბაღი



ბოსტანის ბაღი



ჭყვიშის ბაღი

2014 წელს სოფელ ჭრებალოში წყალსადენის შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. აღნიშნული წყალსადენის რეაბილიტაცია უკვე დასრულებულია, რამაც სრულყოფილად უზრუნველყო სოფელ ჭრებალოს მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება, რაც სოფლის მოსახლეობისთვის წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა.



ჭრებალოს წყალსადენი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუშაობა.

2014 წლის ოქტომბერში, ძლიერი წვიმების შედეგად მოდიდებულმა მდინარემ ბურჯი გამოაცალა და დაანგრია ხიდი სოფელ ჭვედა ღვარდიაში. სოფელთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა ეს ხიდია, რომლის არარსებობაც სოფელს ძალიან დიდ პრობლემებს უქმნიდა, თუმცა პრობლემა უკვე მოგვარებულია. მუნიციპალიტეტის გამგეობის დიდი ძალისხმევით შედეგად უკვე აღდგენილია ხიდი.




ხიდი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებულმა მალხაზ ლომთაძემ გახსნა.



ჭვედა ღვარდიის ხიდი

Rustavi Fashion Studio



სალთნი, საღაჭ
ღიმილით
გოგოებთან,
სალთნი, საღაჭ
თქვენს ხელში
სასწაულოები სდგამა.



დირექტორი

ნიკო პარპაძე

მის.: რუსთავი. მე-7 მ/რ. კორპ. 8

ტელ. 555 17 06 07





Rustavi Fashion Studio
რუსთავის ფაშონ სტუდიო
მუხომანთა





უფლის ნებით მოვდივართ ამ ქვეყანაზე და მისი ნებით ვტოვებთ წუთისოფელს, სავსეს ტანჯვითა და წამებით, განსაცდელებითა და საცდურებით, საოცრებებითა და ხანმოკლე ბედნიერებებით.

ადამიანი ტაძარია ღვთისა, მისი მოვალეობაა ღმერთისკენ სწრაფვა, ლოცვა, მარხვა, სულიერი ღვაწლი, ცხოვრება და შრომა.

„სული წმიდის მადლი, თუკი ღვთისათნოდ ვცხოვრობთ, თვით შეგვქმნის ღვთის ტაძრად და გვეწვევა ყველგან ლოცვის უნარი“.

„უფალმა, ხორცი შეისხა ქალწულისაგან და განდევნა ბოროტი სულნი ამ საყდრიდან, გონებიდან და ზრახვებიდან, სადაც მკვიდრობდნენ ისინი, უფალმა განგვიწმინდა სინდისი და საყდრად თავისად აქცია გონებაც, გულიცა და სხეულიც ჩვენი“ (ღირსი მფარი დიდი).



ვინც შეძლებს, რომ ამ ქვეყანაზე იაროს მოყვასის სიყვარულით, ის ბედნიერია, ის იმ მცირედიტაც კმაყოფილია, რაც უფალმა უბოძა.

როდესაც ადამიანი მორწმუნეა და სულიერად ცხოვრობს, ხარობს ამქვეყნიური ცხოვრებით, ემსგავსება უფალსა და მოყვასს თვისას, ხარობს იმიტომ, რომ მან იცის, როდესაც გარდაიცვლება ქრისტესთან წავა.

ადამიანს უფლისგან ეძლევა მაღალი სულიერება და სრულყოფილი გარეგნობა. საქართველოში უამრავი უმშვენიერესი ქალი ცხოვრობდა და ცხოვრობს, მთელი ქვეყანა მშვენიერთა სავანეა, ერთ-ერთი მშვენიერი ქალი, შენც იყავი, ჩემო ძვირფასო დაო, მართლა ყვავილსა ჰგავდი, დედა იას გეძახდა, სიცოცხლის სიყვარულით სავსე, ხალისიანი და კეთილსურნელოვანი იყავი, უეცრად გაგვიფრინდი, შენი სული მარადიულობას შეერწყა, გადასახლდი ია-ვარდის სამყოფლოში, ჩვენ კი ამქვეყნად დარჩენილებს ღვთისა და მოყვასის სიყვარული გვიანდერძე და გვასწავლე, შენი უნაზესი გულით გამობრძილები სულიერად გვასაზრდოვე სიკეთით, გაგვაერთიანე სიყვარულითა და სათნოებით, მაგონდები, მენატრები და მენანები, ასე უცბად რომ დასტოვე წუთისოფელი, ჩვენ ხომ ერთად ყოფნის სურვილით ვიყავით ანთებულები. ყოველთვის პოულობდი დროს, რომ გასაჭირში დახმარებოდი ადამიანებს, რამდენი აღზარდე, გადაარჩინე, უძილობას არ იმჩნევდი, ავადმყოფის სარეცელთან ღამენათევი, გიხაროდა, როცა შედეგად იყო შენი შრომა და როცა მოყვასი შენი ფეხზე დადგებოდა, შენ უბედნიერესი ადამიანი

იყავი. მშობლებს გამორჩეულად უყვარდი, გულიანი, ყოჩაღი გოგონა იყავი, უანგაროდ უშურველად აკეთებდი საქმეს, „სულის საზეოს“, მაგრამ მის სანაცვლოდ არაფერს ითხოვდი, ეს შენი როგორც ჭეშმარიტი მორწმუნის სულიერი მოთხოვნილება იყო.

ქრისტიანული რწმენა სიყვარულზეა დაფუძნებული, უსიყვარულოდ ვერავინ შეძლებს სიკეთის ქმნას, სიყვარული ედო საფუძვლად შენს შრომას, ასეთი ლამაზი და ფაქიზი ქალი, ტრიალებდი ბალბოსტანში, ვენახში და ხშირად უმძიმეს, მამაკაცურ საქმესაც აკეთებდი, მახსოვს რა სიხარული გქონდა, შენს მიერ გაშენებული ვენახის პირველი მოსავლის მიღებისას — ღმერთმა გამიღიმა, ასეთი კარგი საქმის კეთება რომ შემაძლებინაო. მუხლჩაუხრელად შრომობდი, გონიერად აკეთებდი საქმეს, წვრილშვილს ინახავდი, ოჯახს აძლიერებდი, არავის ეჯერა, რომ ასე შრომობდი ფიზიკურად, მართლაც მზეთუნახავი ქალი.

შენი მარჯვენისა და უფლის იმედი გქონდა, სიმღერით აკეთებდი საქმეს, (უნიკალური ხმა გქონდა).

მე რომ დავიბადე, შენ პატარა იყავი, ძალიან გვამსგავსებდნენ ერთმანეთს, ტყუპები ვეგონეთ, აკვანს მირწევდი, დედობას მიწევდი, დედას სამსახური ჰქონდა და ხშირად შენთან მარტო მტოვებდა. „ჩემო თოჯინა შენ იყავი“ — რამდენჯერ გითქვამს, სკოლიდან მოიჩქაროდი, აცდენდი გაკვეთილებს, რომ მე არ მეტირა, საშველად შენ გიხმობდი: „ია მიშელე“... შენ გიხმობდი, არავის სხვას, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ჩემზე დარდობდი.

როდესაც გამიჭირდება შენი მადლიანი სახე დამიდგება თვალწინ და არაერთხელ გიხმობ, რომ მიშველო, რომ მომეფერო. თუმცა ისიც მასწავლე, როგორ გავძლო ამ უნდო, გაუტანელ წუთისოფელში.

გვერდიდან არ შორდებოდი ბაბუა დიმიტრის, ელოდებოდი აღდგომის დღესასწაულს, როდესაც საჩუქრად მოგიტანდა წითელ ჩუსტებს. ბაბუა, როდესაც დაუძლურდა (თუმცა შუახანს არ იყო გადაცილებული) და საავადმყოფოში იწვა, მის სანახავად იპარებოდი სახლიდან და ნატკენ ფეხებზე ეფერებოდი. როდესაც ბაბუა მიხვდა, რომ აღსასრული ახლოს იყო, ბავშვი არ შეშინდესო და გითხრა: შვილო, წყაროს წყალი მომიტანე კოკით და რომ დავლევ გადავრჩებიო.

გამოგიტყუა თუ არა ბაბუამ, სული დალია.

სახარებიდან ვიცით, რომ სიტყვა არს ღმერთი და ღმერთი არს სიტყვასთან, მადლიანი სიტყვა ამ

ქვეყნისკენ შემოაბრუნებს უიმედო ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ადამიანს, რამდენ ადამიანს ჰქონდა იმედი, შენი ტკბილი სიტყვით მორჩენის, მზესავით გვათბობდი და მომავლის იმედს გვისახავდი. გვაპურებდი სულიერი ღირებულებებით.

„არაფერი აოცებს უფალს, არანაირი სიბრძნე, არანაირი გონება, არანაირი მშვენიერება ამ სამყაროს, მას აკვირებდა მხოლოდ რწმენა“. უფლისადმი რწმენით აკეთებდი საქმეს და ემზადებოდი მასთან განწმენდილი შესახვედრად, ზიარებული და მარხული.

არავისზე არ დაგცდებოდა ძვირი, ყველას მიმნდობი იყავი, საოცარი ბრძნული სიტყვა გქონდა, მისადაგებული დროებას, ანალიტიკური აზროვნება, იცოდი ბევრი რამ, რაც ბუნებით დაგყვა ჯილდოდ, სიფაქიზე, სინარნარე, სილამაზე, სიკეთე, გულუხვობა და თავდადება.

უფლისკენ მიმავალი გზა მძიმეა, მაგრამ როდესაც ჭეშმარიტება სულს ანათებს, გადალახავს, ადგილსა განსასვენებელსა, დამკვიდრდება უფლის სიახლოვეს და იქნება ნეტარებაში.

„ადამიანის სიცოცხლე ღვთის უდიდესი საიდუმლოა, მისი ცხოვრების ყველა მოვლენას, რაც უნდა მცირედ გვეჩვენებოდეს იგი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სიცოცხლის ჭეშმარიტ არსს მხოლოდ მარადიულობაში გადასვლის შემდეგ შევიტყობთ“ (ღირსი მამა ბარსანუფი).

სიკვდილი — ამ სოფლიდან გასვლა, მცირე სულიერი განვითარების ადამიანს აკნინებს, დიდი სულიერების მქონე ადამიანს, უფრო განადიდებს.

შენი სული უკვდავებაშია გადასული, ჩემო ძვირფასო დაო. ზღვა ცრემლ-ხორცის ტკივილებს დაგიაშობს, შეგიფარებს, როგორც ყვავილს სურნელების მფენელსა და სიხარულის მიმნიჭებელს.

გიძლვნი ეპიტაფიას, თუმცა შენს სიცოცხლეზე უნდა მეწერა ლექსები:

იოანე ნათლისმცემლის
სალოცავი მენატრება,
სანთელი და საკმეველი
არასოდეს ჩამიქრება,
ღმერთო, კალთა დამაფარე,
მზე და მთვარე მესიზმრება,
ანგელოზებს დავემკზავრე,
ია-ვარდი გზად მეშლება.

ანა პრისტავი

შენი გულდამწვარი და
2015 წ. 10 მაისი

დაბრუნება ბუდი საუნჯე

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა იზიარა, საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებდა. თუმცა ხანმოკლე ალონდამ მისი დამოუკიდებლობა.

1921 წელს რუსეთის მიერ ანექსიის შედეგად ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს მთავრობასთან ერთად დატოვა სამშობლო და განძს მეთვალყურედ გაჰყვა ემიგრაციაში. გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს განძი, რომელშიც შედიოდა საქართველოს მუზეუმების დაცული ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლის ხატიები და თვალ-მარბალით მოჭრილი სხვა საგანძური, ძვირფასი ხელნაწერები, ზუზდიდის დადიანისაული სასახლის განძეულობა, ბელათის, მარტვილისა და სხვა-დასხვა მონასტრებიდან წამოღებული ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ განძის მისაპურად საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად განძს ექვთიმე თაყაიშვილი მიუტოვებდა. განძი სულ 39 ყუთი იყო, ექვთიმეს იგი მარსელის განძში ჰქონდა შენახული. განუზომელია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქარველი ერის საგანძურის გადასარჩენის საქმეში. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს დაუბრუნა ეროვნული საუნჯე.

ჟურნალი „რაჭველები“ პერიოდულად გიამგოგთ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაბრუნებული საგანძურის შესახებ.



ტბეთის ოთხთავი


ტბეთის ოთხთავი გადაწერილია 1161 წელს ტბეთის ეპისკოპოსის პავლე მტბევარის დაკვეთით, გიორგი III მეფობის ხანაში. ანდერძში პავლე წერს: „დავანერე ესე ოთხთავი სრული და უნაკლულო კარგითა და მართლითა ზანდუკითა და კანონთა სალოცველად ღმრევ გრგნოსანთა მეფეთა დიმიტრი გამზრდელისა ჩემისა და გიორგი ძისა მათისა...“ ხელნაწერი ნუსხა-ხუცურითაა შესრულებული, თითოეულ სახარებას წინ

უძღვის მინიატურა მახარებლის გამოსახულებით. ოთხთავის ტექსტი გადაწერილია იოვანე ფუკარალისძის მიერ, მისი ანდერძი მოთავსებულია სახარების ბოლო გვერდებზე: „წმიდანო ყოველნო, რომელნი აღწერილ ხართ ზანდუკსა ამას შინა ელითა ჩემ ცოდვილისა იოვანე ფუკარალისძისათა, მეოხ ეყვენით წინაშე ქრისტესა წმიდა მამადმთავარსა პავლე მტბევარსა. ამინ იყავნ, ამინ“. ტბეთის სახარება ვერცხლის მოჭედილ ყდაშია ჩასმული; მოჭედილობის დამკვეთია იოვანე მტბევარ-საფარელი, რასაც გვამცნობს ყდის ზურგზე არსებული წარწერა. მოჭედილობა უფრო მოგვიანებით უნდა იყოს შესრულებული, მაშინ როდესაც მოიჭედა წყაროსთავის ოთხთავი (1195 წელი), ამ ოთხთავის ყდის დამკვეთიც იოვანე მტბევარ-საფარელია. ყდის წინაპირზე გამოსახულია „ჯვარცმის“ კომპოზიცია, ზურგზე კი — მაცხოვარი, პეტრე და პავლე მოციქულები; მაცხოვრისა და მოციქულთა

კომპოზიცია იშვიათად გვხვდება შუასაუკუნეების ხელოვნების ძეგლებში, სახარების ყდაზე კი ეს ერთადერთი შემთხვევაა, არა მარტო საქართველოში, არამედ სხვაგანაც.

მარტვილის ჯვარი

მარტვილის მღვდელმთავრის გულსაკიდი ოქროს ჯვარი (14,3X10სმ), სანანილე, VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. შიგნით მოთავსებულია „ძელი ჭემმარიტის“ ჯვარი; შემკულია ძვირფასი თვლებით



და მარგალიტებით. ჯვრის წინა მხარეზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით ხელში, მკლავებზე ოთხი მახარებლის — მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე — წელზედა ფიგურებია, ისინი ამოკვეთილია ოქროზე და მიმაგრებულია ოქროს ფონზე. ჯვრის მეორე მხარეს გამოსახულია „ჯვარცმა“, ქრისტეს მარჯვნივ ღვთისმშობელია ყრმით, მარცხნივ იოანე მახარებელი, ზემოთ და ქვემოთ მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი. ფიგურების შარავანდედი და ჯვარი შესრულებულია მინანქრით. მარტვილის სანანილე ჯვარი ხელოვნების შედეგს წარმოადგენს.

მარტვილის მეორე, მღვდელმთავრის გულსაკიდი ჯვარი X საუკუნეს განეკუთვნება (13, 1X9,4 სმ). შიგნით ინახება წმიდანთა ნაწილები. წინაპირზე მინანქრის ჯვარია შუაში ძვირფასი თვლით, ზურგზეც ოქროს ჯვარის მაგვარი ფირფიტაა შუაში მდიდრული ქვით. ჯვრის გარშემო განთავსებულ მინანქრის რვა ჩარჩოდან მხოლოდ სამში არ ზის (დაკარგულია) ძვირფასი ქვა. ჯვრის მკლავებზე გამოსახულნი არიან: ზემოთ ღვთისმშობელი, ქვემოთ იოანე ოქროპირი, გვერდებზე წმ. დიმიტრი და წმ. ნიკოლოზი. მათგან მხოლოდ იოანე ოქროპირია გამოსახული მთელი ტანით.

ალავერდის ოთხთავი

ალავერდის ოთხთავი გადაწერილია 1053 წელს კონსტანტინეპოლში, წმინდა ღვთისმშობლის ლავრაში, ბაგრატ (IV) აფხაზთა მეფის ბიზანტიაში ყოფნის დროს. სავარაუდოდ, ოთხთავის გადამწერიანი არიან XI საუკუნის კალიგრაფები — მიქელ და გიორგი დვალეები; სხვა მოსაზრებით, მისი გადამწერი იოანე დვალისა; მისი ხელით უნდა იყოს გადამწერილი ავგაროზ მეფის აპოკრიფული ამბავი ალავერდის ოთხთავში. დვალეები



შესანიშნავ კალიგრაფთა რიცხვს მიეკუთვნებიან. მათი გადაწერილია აგრეთვე სვინაქსარი (1049 წ.), წმინდა ბასილის ცხოვრება (1055 წ.), ჟამნი, იოანეს სახარების თარგმანების ანდერძი და სხვა.

ბიჭვინთის სატი

ბიჭვინთის ღვთისმშობლის სატი შესრულებულია XVI საუკუნეში და ამ პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ცენტრში გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით, ზემოთ მარცხნივ და მარჯვნივ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები, ქვემოთ — იოანე ნათლისმცემელი და იოანე ოქროპირი. ღვთისმშობლის გამოსახულებას გარშემო ასომთავრული წარწერა შემოუყვება. წარწერა არის ხატის ზურგზეც, საიდანაც ვგებულობთ, რომ სატი ოქროთი და ძვირფასი



ქვებით შეუმკია აფხაზეთის კათალიკოსს ევდემონ ჩხეტიძეს და დაუსვენებია ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძარში 1568 წელს. წარწერაში იხსენიებიან ოდიშის მბრძანებელი მამია III დადიანი და ლევან I მამიას ძე დადიანი.



ენქერი

ენქერი საეკლესიო ნივთია, რომელსაც სამღვდლო პირნი იყენებენ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია XVIII ს-ში შესრულებული ნაქარგობის შესანიშნავი ნიმუში. მისი შემსრულებლის ვინაობას გვამცნობს ზედ არსებული წარწერა: „ვენახო ჭემმარიტო ქრისტე რომელმან განიწყალე ღვინო სიხარულისა მისა ძალით კვალად გვაგენ პირველისა სამკვიდრებელსა ხოლო მე უღირსმან ორბელის შვილის ასულმან და მეფის იესეს თანამეცხედრემან მარიამ შევკერენ მოსახსენებლად ხელმწიფისა ჩვენისა სულთათვის“. ენქერის შუა ნაწილში გამოსახულია იესო ქრისტე, კუთხეებში ქერუბინებით, მთელი არე კი ყურძნის მტევნებით, ვაზის ტოტებით და ფოთლოვანი ორნამენტითაა დაფარული. კომპოზიცია მაღალოსტატურადაა შესრულებული.

ბავაშვილის ბავახის ნახმოობა

ზეპირგადმოცემათა ტრადიცია გვეუბნება, რომ ლებელი გავაშელების წინაპარი (ან წინაპრები) ქართლიდან, კერძოდ საგურამოდან მოსულან ლებში. თუ რა გარემოებამ გამოიწვია მათი მთაში გადასახლება, დღეს უცნობია ჩვენთვის. გავაშელებს რომ საქართველოს ბარში უცხოვრიათ თავდაპირველად ჩანს იმ წერილობითი საბუთებიდან, სადაც მოხსენებული არიან ამ გვარის წარმომადგენლები. XVII საუკუნის II ნახევრის ერთი დოკუმენტით, რომელიც გავაშელი წილად ხვდა იესე ზუმბულიძეს. ზუმბულიძეები კი გომის (ქართლი) მოურავები იყვნენ იმ დროს. მეორე გავაშელი, სახელად დამაკოჩია, ყოფილა ხოირს მცხოვრები, რომელსაც ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა, საპურობო, ერთი საკლავი, მუშაობა, ლაშქრობა, სამსახური, სამეჯინიბოდ თივა, ლომი და ფეტვი. საბუთი 1621 წელსაა შედგენილი.

1919 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღწერილი აგარის (რაჭა) ეკლესიის მთავარი ხატის (წმინდა გიორგის) განახლებულ წარწე—რაზე იკითხება: „წმინდაო გიორგი, შეინყალე ევნუქიძე მოძღვარი საბა, მისი შვილი ზოსიმე გავაშელი“. წარწერის თარიღის დადგენა, როგორც ჩანს, არ ხერხდება და ამდენად არ ვიცით თუ ჩვენთვის საინტერესო გავაშელი ვინ იყო, ან როდის და სად მოღვაწეობდა.

დღეს ძნელია დადგენა იმისა, თუ რომელ საუკუნეში შემოაღწიეს ლებში გავაშელებმა, ვიცით მხოლოდ ის, რომ გავაშელის გვარმა ლებში მეტად იმძლავრა, ვიდრე ბარში და გვარის გამრავლების მაჩვენებელი მათთან მეტი აღმოჩნდა.

ლებში მოსული გავაშელების შთამომავლები დროთა განმავლობაში რატომღაც გავაშელიშვილებად (გავაშელის შვილი) იქცნენ. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ყველა წერილობითი საბუთი, რომლებიც კი რაჭაშია შედგენილი, ყველგან გავაშელიშვილია დაფიქსირებული და არა გავაშელი. მხოლოდ მოგვიანებით მოხდა გვარის უწინდელი ფორმის აღდგენა და დღეს უმეტესობა კვლავ გავაშელად იწოდება.

ბევრმა გავაშელმა გამოიჩინა თავი საქვეყნოდ და ასახელა ჩვენი კუთხე, რად ღირს მარტო გულითადის გმირობა ან ხუციათ გავაშელიშვილების მოღვაწეობა ლების მაცხოვრისა თუ სხვა ეკლესიებში.

სოფელ ლაზში გავაშელებული გვარების ვინაიანობის აღნიშნული ტერიტორია

ბავაშელები

30-მდე სავისიანთოს ითვლის გავაშელის გვარი, რომლებიც 4 მოძმეობაში არიან გაერთიანებული. ესენია:

1. ადიგელენი (უწინ ლეკოენი), ამირანენი, ბზიკეენი, კოზოლეენი (გამოსული არიან ბზიკეენ სავისიანთოდან).
2. ბარაკონენი, ეფრიენი, კაკოენი, ლევანენი, მესკიენი, ნაწიენი, ოლეენი, პანტოილეენი, ოთუკეენი, ქაოზეენი, ყაწილეენი, ხათუკეენი.
3. ანჯიეენი, გუგუნეენი, თამაზიკიანი, ნინიეენი, ქუტუნეენი, ხუციაანი, ჯაგოენი.
4. გაბოლეენი, გივიტიაანი, გოტოენი, ნაწილიანი, ჩუპიეენი.

გობეჯიშვილები

გობეჯიშვილები 21 სავისიანთოდ იყოფიან, რომლებიც 7 მოძმეთა კავშირს ჰქმნიან. ესენია:

1. გოგეენი, დეტუეენი, კუნჩიანი, შალიკიანი, შალოენი.
2. ბაჭილეენი, კოტეენი, ნაწოენი, ნინეენი.
3. გაბრიტიაანი, ჩატეენი.
4. ქიტუეენი.
5. ერმელეენი, ზვიდუკეენი, კამეჩიანი.
6. დეუკეენი, ყაწუნეენი.
7. გობეჯეენი, იონეენი, ნადოენი, ხარჯიკოენი.

გოგრიჭიანები

გოგრიჭიანები 9 სავისიანთოდ არიან დაყოფილი. ესენია: ბერუკიანი, გოჩიეენი, ზაქუტიაანი, ლეჩხუმელეენი, მამუჩიანი, პაპოენი, საგიეენი, ყაწოენი, ჩხუტეენი.

ლოჯანიძეები

ლოჯანიძეები 41 სავისიანთოდ და 8 მოძმეობად არიან წარმოდგენილი. ესენია:

1. მჭედლიანი, ნანუკიანი, ჯაჯოენი, ჯოტეენი.
2. აფშეენი, გოგნიეენი, თანდილეენი, ნადირეენი.
3. შალიკიანი, თედორეენი, მიქუტიაანი, პეტროენი.
4. მახუკეენი, ქეხსურეენი.
5. აკობეენი, ბელოენი, გოგელეენი (იგივე ციბრეენი), კაცელეენი, კორკოტეენი, მაზუკეენი, პაპუკიანი, ქოჩერეენი, ქუჩოენი, სვდისუკეენი, ჯავახიანი.
6. გივეენი, კანკალეენი, ნაშოენი, ნიკოლეენი.
7. ალუკეენი, დავითელეენი, დაჯიკეენი, სვანეენი, შახუნეენი, ჩოპეენი.
8. ზარმანეენი, ზვიადეენი, თვალოენი, პაატიაანი, პაპუკელეენი, ყაყეენი, ლეჯოენი.

ვაჟა გობეჯიშვილის წიგნიდან „ლები“.

ახალი თეატრი და აღფრთოვანებული მაყურობელი

ჩვენი ჟურნალის მკითხველს ალბათ ახსოვთ, იანვრის თვეში ამ სათაურით დაბეჭდილი წერილი თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრის შექმნის და მოღვაწეობის შესახებ.

წერილის სათაურს უბრალოდ არ ვიმეორებთ: თეატრი ჯერ ისევ ახალია და მაყურებელი მართლაც აღფრთოვანებული.

2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თბილისში გაიმართა თეატრალური ფესტივალი. თეატრის შემოქმედებითა ჯგუფმა ფესტივალზე წარადგინა ქორეოგრაფიული სპექტაკლი „გრაფიტაცია“.



ფესტივალზე მოწვეული იყვნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი თეატრმცოდნეები. შემოქმედებითა ჯგუფმა ნამდვილად მიიპყრო მათი ყურადღება, რასაც მოწმობს მათ მიერ გაკეთებული კომენტარები და წერილები.

ეს დიდი სტიმული იყო შემოქმედებითი ჯგუფისათვის და თეატრმა ახალი ენერჯით განაგრძო მუშაობა.

თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრი ანხორციელებს რიგით მესამე შემოქმედებით პროექტს. ქორეოგრაფიული წარმოდგენა შედგება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი რეალისტური ამბებისგან, რომლის ამოქმედება ქმნის იმპულსის განსაკუთრებულ შეგრძობას.


წარმოდგენა შედგება შემდეგი თემატიკის მიხედვით – მისწრაფება, სიყვარული, რისხვა, რწმენა, აღტკინება, გაოცება, შიში, სიკვდილი, სიცოცხლე.

იდეის ავტორი და დამდგმელი ქორეოგრაფი — **თინიკო ქოიავა**. მუსიკის ავტორი — **სანდრო ნიკოლაძე**. მხატვარი — **ლევან კვარაცხელია**.

მონადილოვანი: ამირან ქაჩიბაია, ირაკლი ბიგვავა, თენგიზ ზარდიაშვილი, ანრი მამედოვი, ქეთი ელიკაური, მარიამ ცირდავა, მარი გელაშვილი, ლაშა რჩეულიშვილი, ვახო ალექსანიანი და ასევე ამავე თეატრის სკოლის მოსწავლეები.

ქორეოგრაფიული წარმოდგენა „იმპულსი“ ხორციელდება სერგო ზაქარიადის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის თანადგომით და ქ. თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ვიმედოვნებთ, რომ გავამართლებთ მაყურებლის მოლოდინს.



6-7 ივნისს, საღამოს 19.00 საათზე, გელოდებით მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინო - მსახიობთა თეატრში.

ენიო კახიანი

თეატრის პიარ - მენეჯერი



ასეთი თუ უნაკი...

არავის ახსოვს, როდის დასახლდა პირველი გლეხი ამ სოფელში, ან რა მოენონა მისი. ერთი რამ ცნობილია, ადრე ადამიანი სამოსახლოდ კარგ საძოვარს ეძებდა, ტყეს, საბალახოსა და სამოსავლო მიწას. ასეთნაირად კი ეს სოფელი საკმაოდ მოწყობილი ყოფილა. სოფელ ურავის მთა და ბარი, მისი ტყე და საძოვარი მთელ ამბროლაურის რაიონს აკმაყოფილებდა. ამდენად, დიდი ხანია მას შემდეგ, რაც აქ ხალხი დასახლებულა და შემოუკრავს საკარმიდამო ნაკვეთები, საკუთარი ტყეები, მთა-საძოვარი. საგულისხმოა, რომ ეს გვარეულობები მოსულა ზემო რაჭიდან. მას შემდეგ დამკვიდრებულა ურავში ზემორაჭული გვარები: რეხვიაშვილები, ბოხაშვილები, გობეჯიშვილები, ჯელაძეები, მეტრეველები, გოგრიჭიანები, ჩალაძეები და სხვა.

მათი ერთობლიობით კარგა დიდი სოფელიც შექმნილა. არსებობს ლეგენდა სოფლის დაარსების შესახებ: თითქოს სოფელ ღებიდან და ჭიორიდან წამოსულა რამდენიმე გლეხი საცხოვრებელი ადგილის საძებრად, ბევრი უვლია; ბოლოს მიადგნენ ამ ადგილს, სადაც დიდი „ურა“ ტყე ყოფილა აყრილი. მოსწონებიათ ეს ადგილი, შემკობილი სანისქვილო წყლებით, მჟავე წყლებით, სათიბით და საბალახოთი; მოსწონებიათ და აურჩევიათ საცხოვრებელ ადგილად. მერე კი მოშენებულან, მომრავლებულან და ურავიც კარგა დიდი სოფელი გამხდარა.

აქაურ მოსახლეებს შემოუმტკიცებიათ თავისი სოფლის მიწა-წყალი და ადვილად სხვას ფეხს არავის ადგმევინებდნენ. საინტერესოა, რომ მდ. ლუხუნის ხეობა, სადაც სოფლები: ურავი, აბარი და ლიხეთი მდებარეობს, არსებობის მრავალ წელს ითვლის, მაგრამ ჯერ კიდევ თავისი ეთნოგრაფიული და სხვა თვისებებით მეცნიერ-მუშაკთა განსაკუთრებულ ყურადღებას ვერ იმსახურებს.

ამ ხეობის მკვიდრმა, საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა, ან განსვენებულმა, ალიოშა ჯაფარიძემ გასულ წლებში აწარმოა რამდენიმე ნაეკლესიარის

გათხრა და საინტერესო ექსპონანტებიც აღმოაჩინა; მანვე გახსნა ურავის საშუალო სკოლა და ამ სკოლაში ორი ოთახი დაუთმო ლუხუნის ხეობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. აქ შემონახული ნამარხები მიუთითებს, რომ ამ ხეობის მოსახლეობას და მათ შორის ურავსაც, კარგა ხნის არსებობის ისტორია გააჩნია, მაგალითად, ჯვრის სასაფლაოზე მეწყრის შედეგად გამოჩნდა ვერძის თავის ქანდაკება და ზოგიერთი სხვა ნივთი. ეს ის პერიოდი ყოფილა, როცა მიცვალებულს პატივისცემის ნიშნად, საფლავზე ვერძის თავს უდგამდნენ. ამ და სხვა მამტიკიცებელი ნივთების მიხედვით, ალ. ჯაფარიძე განმარტავს, რომ ეს ნამარხები მე-18 საუკუნის უნდა იყოს.

სოფელ ურავიდან დაწყებული ვიდრე ქაჯიანამდე, მდ. ლუხუნის გაყოლებით, მის ორთავე მხარეს, მრავლად არის ნაეკლესიარები, მათ შორის, ზოგიერთი თავისი მოცულობითა და სიდიდით ცალკე ყურადღებას იმსახურებს. ასეთად უნდა ჩაითვალოს ფაქუშის ნაეკლესიარი მეფისჭალის გაღმა, მის მოპირდაპირედ. მოსწავლეთა საშუალებით ალ. ჯაფარიძემ მისი განმენდაც მოახერხა. აქ მრავლად იყო შენანირავი ირმისა და შვლის რქები, აგრეთვე ჯვარი, მღვდლის გულზე დასაკიდი. რაც შეეხება ძვირფას ნივთებს, ხსენებულ ნაეკლესიარზე (მხედველობაში მაქვს ჯვარი და ფაქუში) არ აღმოჩენილა. როგორც ალ. ჯაფარიძე ამტკიცებს, ეს ეკლესიები მეზობელ მომთაბარე ტომებისაგან ყოფილა გაძარცვული.

ჩნდება კითხვა: საიდან მოჰქონდათ აქ ამდენი ირმისა და შვლის რქები? როგორც სჩანს, ყველა ესენი ადგილობრივი მთებისა და ტყის ბინადარნი ყოფილან. ამას ისიც ადასტურებს, რომ სოფ. ურავში ერთ-ერთი მთის სახელწოდება — საირმე ძველთაგანვე მოდის, სადაც ურაველები დიდხანს ეწოდნენ თივის დამზადებას. აქ ერთ-ერთი ულამაზესი მთაა, ჭუთხაროს მწვერვალის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რომელსაც შუაგულში

რალაც სასწაულით გაჩენილი ლურჯად მოლივლივე ტბა ამშვენებს. მას საირმის ტბას ეძახიან. ტბა გამდინარეა და მისი შემოგარენი იშვიათი სილამაზით ხიბლავს მნახველს, არსებობს ლეგენდა თითქოს ძველ მონადირეს, ვინმე ოთია რეხვიაშვილს, აქ მარტო მოსიარულე ხარ-ირემიც მოეკლა. ბუნებრივია, სანამ ლუხუნის ხეობის ამ ნაწილში ადამიანი ფეხს დადგამდა და ცხოვრებას ნამოინყებდა, ალბათ ნადირთა სიმრავლეც იქნებოდა, რასაც მაშინდელი შენანირი შვლებისა და ირმების რქები ადასტურებს. თავისთავად ცხადია, ყველა ეკლესია განმედილი და შესწავლილი არ არის, ნანგრევი ეკლესიების ასეთი სიხშირე კი იმას მოწმობს, რომ ესენი ყოფილა საუბნო და საგვარეულო ეკლესიები.

ასე თანდათანობით ჩაჰყრია საფუძველი სოფ. ურავის დამკვიდრებას ლუხუნის ხეობის ამ ნაწილში და ოდითგანვე დაწყებული სიცოცხლე დღესაც გრძელდება. ჩვენი მამა-პაპის გადმოცემით, უახლოეს საუკუნეებში ურავში კერძო მესაკუთრული ცხოვრება ყოფილა, მაშინდელი მიკერძობითი სახელები დღესაც შემორჩენილი აქვს სახნავ-საძოვარს, მთას და ბარს, წყაროს და ყანას. მაგ: „თაზიკასეულა“, „ონას წყარო“, „მოშუკეენტ ტყე“ და სხვა.

ჩემს მეხსიერებაში სოფელ ურავში ხუთასამდე კომლი ცხოვრობდა. მაშინ აქ კედო საკუთრება უკვე აღარ იყო, მხოლოდ მამაჩემი და სხვა ორიოდე გლეხი არ მიუღიათ კოლექტივში იმის გამო, რომ მათ ბევრი შვილი ჰყავდათ და კოლმეურნე გლეხობას უარი უთქვამს მათ განევრიანებაზე იმ მიზეზით, რომ „ჩვენ მაგათი შვილების შენახვას მოვუნდებითო, სამაგიეროს მაგათი ოჯახები ვერაფერს გააკეთებენ და სარჩინად დაგვედებიანო“, მაგრამ როგორც შემდეგში დავინახავთ, პირიქით მოხდა და ისინი იძულებითი წესით განევრიანეს.

სოფ. ურავიდან 8-10-კმ-ის მანძილზე და მდ. ლუხუნის ორთავე მხარეს მრავლად იყო სასიმინდე ყანა, სადაც საუკეთესო სიმინდი, ლობიო და გოგრა მოდიოდა. შიდა ყანებში მონაცვლეობით აკეთებდნენ თესლბრუნვას; ითესებოდა ხან სიმინდი და ხან — პური, გარეშე ყანაში კი მუდმივად სიმინდს თესავდნენ. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდოდა მაშინ, როცა სიმინდი ტარობას დაიწყებდა, რათა დათეს არ შეეჭამა. ამიტომ გარე ყანებში იდგმებოდა ხულები და დიდი და პატარა აგვისტოს შუა რიცხვებიდან სიმინდის აღბამდე, საყარაულოდ დადიოდა. მთელი ღამე ხულებში ცეცხლი ენთოთ, ქაქანებდნენ, ძაღლები დაჰყავდათ და მათი დახმარებით სიმინდს განადგურებისაგან იცავდნენ.

როგორც ურაველები იტყოდნენ, ე.წ. ხულაობა სოფ. ურავში მისი დაარსებიდანვე მომდინარეობს. აქ გოგო-ბიჭების საპაემნო შეხვედრებიც იმართებოდა და ამიტომაც ეს ამბავი ნათლად გამოსჭვივის ძველ ხალხურ სიმღერაში „რაშოვდა“:

„ჩამოვიარე ურავში,
გოგო დამიხვდა ხულაში,
გადავხვებო ვაკოცე,
გადავიგრიხე ულვაში“.

თითქოს განწყობაზე არ ეტყობოდათ, მაგრამ მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას ხორცის, ყველის, კარაქის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ნატურით გადასახადი. ამას ემატებოდა სხვადასხვა სახის ფულადი გადასახადები და ბევრი ოჯახი გაპარტახების გზას დაადგა. სოფლად ფეხი მოიკიდა სიშიშველემ, შიმშილობამ და სიღატაკემ, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის უმეტეს ოჯახებში საკერავიც კი არ იშოვებოდა, რომ ადამიანს დახეული ტანსაცმელი დაეკემსა და ნამუსი დაეფარა, ზედმეტი იყო ლაპარაკი საცვლებზე და თეთრეულზე; მხოლოდ საშიშვლო ეშოვა ვინმეს და სხვას აღარაფერს დაეძებდა. ჩაუცმელ-დაუხურავი ახალგაზრდობა ძალიან დაჩაგრულად გრძნობდა თავს, მაგრამ გულს მაინც არ იტებდნენ და ჯან-ლონით საცესნი მიჰყვებოდნენ თავიანთ ურთულეს ცხოვრებას:

„არ ვაკოცო არ იქნება,
გაკოცო და რითი,
დახეული ქალამნიდან
მიჩანს ცერა თითი“.

დამორცხვებულად და თავჩაღებით გაეშაირობდა საცოლე ბიჭი მასავით დაკერილ კაბაში გამოწყობილ გასათხოვარს, მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, ახალგაზრდები მაინც ერთობოდნენ; მათი თავშესაყარი ადგილები სოფ. ურავის თითქმის ყველა უბანში იყო. ამ ხუთასკომლიან სოფელს უბნების მიხედვით ჰქონდათ გამოყოფილი სანახშო ადგილები. აქ შრომით დაღლილი ახალგაზრდობა ზაფხულის მთვარიან ღამეებში იყრიდა თავს და თავის უკვდავ შემოქმედებას ჰქმნიდა.

არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ საქართველოში, ეპოქის შესაბამისად, განსაკუთრებით საქართველოს მთიან რეგიონებში, ძველთაგანვე ფეხს იკიდებდა ხალხური შემოქმედება, ამოხეთქილი ჩვენი წინაპრების გულებიდან. ამ შემოქმედებაში ყველას თავისი ღვანლი შექონდა — ბერსა და ჯეელს და მისი უკვდავების ძალა დღესაც გულსრულად ჟღერს.

ასე იყო სოფ. ურავშიც, რომელიც მდ. ლუხუნის ხეობაში მისი დინების უკიდურეს გავრცელებამდე იფარგლებოდა. ეს იყო პურ-მარილითა და სტუმარ-თმოყვარეობით განთქმული მთის რაჭის ერთ-ერთი სოფელი. აქ ტრადიციულად დამკვიდრებული იყო სახალხო და საღვთო დღესასწაულები; დიდი მუჟაენწყლობა, ნასაღდრობა (აღდგომის მესამე დღეს) და სხვა. გარდა ამისა, ახალგაზრდობა ზამთრობით ხშირად მართავდა ოჩხრებსა და ღამისთევებს, სადაც ხდებოდა სატრფიალო და საგმირო შაირების შექმნა, სხვადასხვა თამაშობა და სხვა.

ასე წვეთწვეთობით იყრიდა თავს ხალხური შემოქმედების საუნჯე, რომელშიც ურაველ ხალხსაც თავისი წილი უდევს. მარტო განთქმული მოშაირე ლევანა ბოხაშვილი რად ღირს: ამ წერა-კითხვის უცოდინარ კაცს შემოქმედებითი შინაგანი ძალა არ ასვენებდა და მუდამდღე ახალ-ახალ შაირებს ქმნიდა, რომლებიც ხალხში ძვირფას მარგალიტებად არის მიმოხეული. ის მხოლოდ სიმღერით თხზავდა მათ და ახალგაზრდებს

შორის ჩამდგარი ქარგავდა თავის ზეპირსიტყვიერებას. ლევანს საბოლოოდ კახეთში გადასახლება და იქ გარდაცვლილა. ამბობენ, ახალქალაქის რაჭველებსა და კახელებს შორის დავა მომხდარა — თუ ვისი მოშაირე გაიმარჯვებდა. ლევანის არც კი სცოდნია, როცა მონინალმდეგეს და ისიც ქალს შეახვედრეს. ქალი თურმე გაუთხოვრად ყოფილა დარჩენილი. ლევანს სასტიკ უარზე დამდგარა: „არა თქვენი ჭირი, ქალს ვერ გავეშაირები, რომ ცუდი რამე წამომცდეს, ხომ დავიღუპე კაციო“. — „არა, ნუ გეშინია, რაც გინდა ის უთხარი, მხოლოდ ის გვანიტერესებს, რა მოშაირე ხარო“, — უთხრეს მოშაირე ქალის ძმებმა.

ასე მომხდარა დიდი გაშაირება: ცალ მხარეს ლევანს იდგა, თავისი გულშემატიკვრებით და ცალ მხარეს კი — კახელი მოშაირე ქალი, თავისი ამქრებით. მათ შორის კი დიდი „საკამპანიო“ ნიძლავი იდო, რომელიც არც ერთმა მოშაირემ არ იცოდა, ეს გაშაირება ლევანის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებულა; „ამიყვანეს ხელში ჩვენებურებმა და ისე დამატარებდნენ“, — იგონებდა თურმე ლევანი. მერე კი კახელების ხარჯზე ლევანს და მის მომხრეებს კარგად უქეიფნიათ.

სოფლად ხალხური შემოქმედების ესოდენ განვითარება იმის გამო ხდებოდა, რომ მაშინდელ ხალხს არ გააჩნდა გართობის არავითარი საშუალება. ამიტომ ისინი იძულებული ხდებოდნენ, რომ თვითონვე შექმნათ თავიანთი გასართობი. მას შემდეგ, რაც სოფლად შემოიჭრა კინო, თეატრი, ტელევიზია და სხვა გამახალისებელი საშუალებანი, ხალხურმა შემოქმედებამაც უკან დაიხია. თუ დავაკვირდებით უკანასკნელი საუკუნის მეორე ნახევრიდან ხალხის მიერ შექმნილი შემოქმედება ნაკლებად შეიმჩნევა. შემოქმედი ადამიანები ახლა იმასლა ცდილობენ, რომ მოუარონ ძველს, არ ჩაკედეს ის, რაც ოდითგანვე მოდის, მიანოდონ მომავალ თაობას თავისი ერის უკვდავება.

ჩვენებურები ღამისთევებს მხოლოდ ზამთრობით აწყობდნენ. ეს იყო საცოლეთა და გასათხოვართა ურთიერთდაახლოების საშუალება. ისინი რომელიმე ოჯახთან შეთანხმებით იკრიბებოდნენ. ოჯახის უფროსი მათ მითითებას ძლევდა, რომ წესიერად ჩაეტარებინათ თავყრილობა, რადგან შემდეგ სხვა ოჯახები არ დაშინებულნიყო. პირველად ცეკვა-თამაში გაიმართებოდა, შემდეგ შაირობისას ძველებურ ქართულ გარმონსა და დაირას გააჩალებდნენ.

ტაში! ტაში! ტაში! — შესძახებდნენ გოგობიჭები, როცა საცეკვაოდ აზარტში შესული მორიგი საცოლე გადახტებოდა. დამკვრელებიც აზარტულად ააყოლებდნენ გარმონსა და დაირას, თან შაირს მიაყოლებდნენ:

„საცოლეა, ცოლი უნდა
ერთის ნაცლად ორი უნდა“.

ყველაზე უფრო საჯაფო ცეკვად ითვლებოდა ცეკვა ნაცვლია, როცა რომელიმე მონონებულ საცოლეს ან გასათხოვარს რიგრიგობით ცეკვითვე ენაცვლებოდნენ ვაჟს — გოგონები და ქალს კი — ბიჭები. დამწყები

მოცეკვავე ქანცგამოლეული ტოვებდა ბოლოს საცეკვაო მოედანს და მის მაგიერ კი სხვა აგრძელებდა ცეკვას. შემდეგ იმართებოდა სხვადასხვა საამიკო თამაშობანი: „მეზობლობა“, „ბულაბკობანა“, „ბოთლობანა“ და სხვა. ამით ახალგაზრდებში სიყვარულისა და ტრფიალის გაღვიძება იჭრებოდა და ბევრი მათგანი სიყვარულით უღლდებოდა. ოჯახში მყოფი უფროსი თაობა სიამოვნებით ადევნებდა თვალ-ყურს ახალგაზრდულ სიცოცხლეს, იხსენებდნენ თავიანთ წარსულს და ნატრობდნენ იმ დროს, როცა ისინიც ამ ასაკში იყვნენ.

ასე რიგრიგობით, უზნების მიხედვით, იმართებოდა საღამისთევო თავყრილობანი, მაცნე წინასწარ გაგზავნიდა მთელ სოფელში შემტყობინებელს და ამცნობდა, თუ რომელი გლეხისას უნდა მოეყარათ თავი. ყველაზე საშიში იყო, როცა ღამისთევაში მთვრალი ახალგაზრდობა მიდიოდა, მაგრამ თუ ოჯახის უფროსი ვარგოდა, მათ სახლში შესვლის უფლებას არ ძლევდა, რომ იქ ჩხუბი და დავიდარაბა არ მომხდარიყო. საშიში იყო იმითაც, რომ მოღამისთევის ოჯახიდან გოგო არ გაეტაცნათ და შარში არ გახვეულიყვნენ.

ცეკვავე და მღეროდა ღარიბად ჩაცმული, მაგრამ სისხლით და ხორციით სავსე ახალგაზრდობა. მათში ჩქეფდა სიცოცხლის არტერია. სად იყო ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი. ვინ იცის, რამდენი წყვილი ქალამანი დამიხევია ოჩხრებსა და ღამისთევებში — იგონებდნენ შემდეგ დაცოლშვილებული ვაჟკაცები. მართლაცდა მეტად მოხდენილი იყო ძირმოფიცებული ქალამნებით ცეკვა; ისინი ბუხრის ცეცხლზე წინასწარ მიაფიცებდნენ ქალამნის ძირებს. შეფიცებული და შეხურებული ქალამნისძირებიანი მოცეკვავე მოხდენილად უსვამდა ფეხებს სოხანეზე თუ მეჩხრად „დაპოლილ“ იატაკზე. ერთ-ერთ მელექსეს ამაზე კარგად უთქვამს:

„ღსინი ოჩხარებში, ღამისთევებში,
თან სიყვარულის ტკბილი ეჭვები,
და მოფიცებულ ქალამნის ძირებს,
როგორ უსვამდნენ სხარტად ბიჭები.
მასწენდებიან ყველა ესენი,
როგორც სიწმრები ედემს ნახული
და მიტომ მიუვარს, ჩემო უბანო,
შენი წამთარი და გაწაფსული“.

წუთისოფლის ჟამთა სრბოლამ მხოლოდ მოგონებათა დავთარში შემოიტოვა მაშინდელი ახალგაზრდული ზნე-ჩვეულებანი. კარგა ხანია, რაც მასობრივი თამაშობანი და გართობანი სოფ. ურავში აღარ მოწყობილა. იმ თაობის ადამიანები ახლა ბევრი სიჭარმაგის ასაკშია, ზოგი მაშინდელი უბანი მიგრაციის შედეგად ნანგრევებად და ნასახლარებად იქცა. ვინ იცის, ოდესმე ეს ნანგრევები არქეოლოგთა და სწავლულთა შესწავლის საგანიც გახდეს, თუ ვინ სახლობდნენ იქ, როგორ ცხოვრობდნენ ან სად გადაყარა ცხოვრების ბედუკუღმართობის ქარიშხალმა.

გიორგი რახვიაშვილი

რედაქციისგან



ვცდილობ მკითხველს თავი არ შევანყინო, ამიტომ რედაქტორის გვერდი ჟურნალში უმეტესწილად სხვა, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვან თემებს ეთმობა, თუმცა პერიოდულად სათქმელი გროვდება, რაც აუცილებლად სააშკარაოზე უნდა გამოვიტანოთ.

არაერთხელ მოთქვამს, რომ ქველმოქმედება, ანუ შენს მიერ სხვისთვის გულით მიძღვნილი ბედნიერება, უფლისგან ბოძებული ნიჭია-მეთქი, რასაც ღმერთი მხოლოდ რჩეულთ აძლევს. საბედნიეროდ, ჟურნალი „რაჭველები“ მსგავსი ნიშნით გამორჩეული ადამიანების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის.

ჩვენი ინიციატივით და მათი მხარდაჭერით უახლოესი 3 თვის განმავლობაში არაერთი ჰუმანიტარული აქცია განხორციელდა. მათი ამგვარი ქმედება იმედს მაძლევს, რომ ყველაფერი ისე ცუდად არ არის, როგორც წარმოგვიდგენია. ჯერ კიდევ არიან ადამიანები, ვისთვისაც სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი არ არის. არ შემოძლია ფართო საზოგადოებას მათი სახელები და გვარები ხმამაღლა არ შევახსენო. მათ არაერთ ჩემს წამოწყებას მხარი დაუჭირეს და საშუალება მომცეს თითოეული ინიციატივა სისრულეში მომეყვანა. ესენი არიან:

აპოთანდილ ჩაღაძე, ღირსეული რაჭველი, დამსახურებული მშენებელი-ინჟინერი, თავის კუთხისა და ხალხის პატივისმცემელი. მაღალი ზნეობის მქონე პიროვნება.

დავით კარაქაძე, ადამიანი, რომელმაც რედაქციაში პირველივე სტუმრობისას ბრძანა, მე თავად ვგეგმავდი თქვენთან მოსვლას, კარგია რომ დამირეკეთ, ანუ მუდამ თქვენს გვერდით მივსვლი. მე მას „საიმედო კაცი“ დავარქვი, რამეთუ ის მთელი თავისი სანათესაოს, სამეგობროს და რალა თქმა უნდა, ოჯახის ნამდვილად საიმედო ადამიანია.

ირაკლი მამრბაძე, როგორც იტყვიან კარგი წყლის კარგი ყინული დგებაო. ღირსეული მამის, ოქრო მაგრაქველიძის ღირსეული შვილი, ჩვენი ჟურნალის მუდმივი მხარდამჭერი.

ვიქტორ ორდინიძე, კაცი შემკული ყოველივე ღირსებით, მაღალი ზნეობითა და თავისი კუთხის უბადლო სიყვარულით.

ზაზა კაციტაძე, ცნობილი ნეირო ქირურგი, ღირსეული პიროვნება და რაჭის სიამაყე.

ვალერიან ბრძანაძე, უხუცესი, ღირსეული ადამიანი, რომლის ცხოვრების გზა გადაშლილი წიგნია მომავალი თაობისათვის, წიგნი ღირსების, პატიოსნების, ერთგულების და კეთილშობილების სახელმძღვანელო.

თამარ გომირიძე, უაღრესად კეთილშობილი, ღირსეული, ინტელექტით აღსავსე ადამიანი.

რეზო ბერაძე, ქორეოგრაფი, ეროვნული, ტრადიციული კულტურის მესაიდუმლე, პატიოსანი და კეთილშობილი პიროვნება.

ოზგა შოშხაძე, სიკეთისთვის დაბადებული ადამიანი.

ომარ მატრეველი, თბილი რაჭველი, კაცურ-კაცობის განსახიერება.

თუმცა განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ამბროლაურის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი **ბონა ენუქიძის** ღვაწლი ჟურნალ „რაჭველებთან“ მიმართებაში. მან ჟურნალის დაფუძნებიდან სამი წლის განმავლობაში სისტემატიური ფინანსური მხარდაჭერით შეძლო ის, რომ ჟურნალმა თანამედროვე პრესის ბაზარზე ფეხი მოიკიდა და მოძლიერდა. ამდენად, გოჩა ენუქიძის ღვაწლი ჟურნალ „რაჭველების“ მიმართ აუნწონელია.

ძვირფასო მკითხველო! ესენი არიან ადამიანები, ვინც ერთი თხოვნისთანავე ჩვენს გვერდით დგანან. სამწუხაროა, როცა მიზეზული მხარდაჭერის სანაცვლოდ ზოგიერთი რაჭველი ჩვენს ზარს სპეციალურად არ პასუხობს ან კიდევ თავს არიდებენ კეთილი საქმის კეთებას, მით უფრო მაშინ, როცა ეს ხელეწიფებათ.

გმადლობთ, გმადლობთ ბატონებო! თქვენ კარგად იცით რეგიონალური პრესის მნიშვნელობა. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ჟურნალი „რაჭველები“ ქმნის რაჭის მატრიანეს, მისი მხარდამჭერი ღირსეული ადამიანები კი სტიმულის მომცემნი არიან ჩვენთვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროს!

რედაქტორი
ნიკო რაქვიანიძე

„სანიმუშო კახი“



აღაგნოგონს მიტყვამს, სი-
კეთე რეთისგან ბოძებყრი
ნიჭია-მეთქი. ნიჭი, ჰომვერიყ
რმეგნთმა მხოროჲ ჰჩეყრთ
აჰგყნა. ჰჩეყრთა შოხის
აჰის სწოჰეჲ ბატონი რა-
გით კეჰესვერიძე. მე მას

„სანიმუშო კახი“ რაგაჰქვი,
აჲამიანი, ჰომვერიყ თა-
გის რიჲ რჯახს, მთვე
საწათგნავოს რიჲი ჰყ-
რყნებით ყვერის რა
პატჰონობს, საკყთა-
ჰი შვერიგბის მსგავსაჲ
ყყვაჰს რისშვერიგბი, მა-
თი შვერიგბი, სიძვეგბი...

რაგითი ახერობრეგბთან
გნთაჲ აჲჲგომის ბჰნი-
ყინვეარეჲ რეგნასწაყრს
წმინრა მიწაჲეჲ ხვეგება.

მინრა რჰიოჲ სიბყვით
მაჲერობა გაჲაგყყაჲჲო ბა-
ტონ რაგითს, ჰომე ქყჰწარმა
„ჰაჭვეგეგბი“ მისი სახით
გნთგყრი მკითხვეგეჲ რა
გინანსყჰი მხოჲრამჭეჰი
შვიძინა.

მან მთვერი გყრწიჲვეგეგობით
აჲგეგნოტყვა თანაჲგომია.

მისი მხოჲრამჭეჰით გინ-
წანსეგება წიგნი „ჰაჭვის
მატონანე 2“.

გმაჲერობთ, ბატონო რათო,
თქვეგნ მაჰთრავ „სანიმუშო
კახი“ ხაჰთ აჰა მაჰტო
თქვეგნი რჯახისა რა ჩვეგნი
ქყჰწარისათგის, აჰამვე
რიჲი სამეგგობჰოსა რა
ქვეგყნისათგის.

ყვეარმა რაგეოყოთ.

ჰეგეგტოჰი
წინო ჰგნგამვერი